# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 12 ივნისი, 2009 წელი.

№ 116 (6217)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## გინდა ნატოში შესვლა? - აფხაზეთი მიეცი რუსეთს!



რამდენად რეალურია ასეთი „გარიგება" და განხორციელდება კი იგი? 2

## „წართმეულია, გრცხვენოდეთ!" 2

### მათი აზრით

**სოსო ცინცაძე:** 3



გაჩეჩილაძის განმარტებებით ვერ გავიგე, მაინც რაზე იყო საუბარი



**ზურაბ აბაშიძე:** შეცდომები დღევანდელ მსოფლიოში ძალიან ძვირად ფასობს 4

**სოსო ცისკარიშვილი:**



რამდენიმე ადამიანი ქმნის იმ სააკაშვილს, რომელიც შეხვედრაზე გაჩეჩილაძემ იხილა 3



**გოჩა გვარამია:** აფხაზების გარკვეული ნაწილი რეალურად აფასებს მიმდინარე პროცესებს... 5

## საერთაშორისო კონკურსი - პირველად უქართველებოდ! 7





## მოსკოვში მოუხელთებელი ტარიელ ონიანი დააკავეს 12

### ფრაზა დღის ამ ფრაზურიდან



**მიხეილ სააკაშვილი:**
(საქართველოს პრეზიდენტი)

საქართველო იმყოფება ძალიან რთულ ვითარებაში, მაგრამ აქ პოლიტიკური კრიზისი არ არის. მოდით, გულახდილად ვილაპარაკოთ, რა არის პოლიტიკური კრიზისის ნიშნები? ეს არის მთავრობის დაშლა. სხვათა შორის, ერთ დროს ასეთ მთავრობაში მეც ვიყავი, რომელიც ნამდვილ ცირკს ჰგავდა, სადაც ყველა ერთმანეთს ლანძღავდა, არ ხდებოდა გადაწყვეტილებების მიღება. ასეთი რამ ახლა ნამდვილად არ ხდება.

(10 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალ შენობაში გამართული მთავრობის სხდომიდან).




## რა შეიძლება მოჰყვეს საქართველოს დსთ-დან გამოსვლას 8

◎ აქცია გაეროს ოფისთან

# გინდა ნატოში შესვლა? – აფხაზეთი მიეცი რუსეთს!

## რამდენად რეალურია ასეთი „გარიგება“ და განხორციელდება კი იგი?

**ერთმანეთთან ბრძოლაში გართულებს სამშობლოს ინტერესები არ უნდა დაგვავიწყდეს, – განაცხადა კახა შარტავამ „ეროვნული ფორუმის“ აქციაზე, რომელიც გუშინ გაეროს ოფისის წინ გაიმართა. წინადღით ფორუმელებმა საქართველოში გაეროს ელჩს იოჰან ვერბეკს გაეროს გენერალური მდივნისთვის გადასაცემი სპეციალური მიმართვა გადასცეს, სადაც ნათქვამია, რომ „გაეროს მანდატი უნდა გაგრძელდეს მხოლოდ აქამდე არსებულ ფორმატში. ხოლო უშიშროების საბჭოზე მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (ე.წ. სამხრეთ ოსეთის) საქართველოს შემადგენელ ნაწილებად არმოხსენიებას ქართული საზოგადოება ბუნებრივად განიხილავს, როგორც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევისკენ გადადგმულ ნაბიჯს“.**

**გაეროს ოფისის წინ შეკრებაზე ბევრმა „ფორუმის“ მხარდამჭერმა მოიყარა თავი, თუმცა მათ შორის დევნილთა სიხალვათე აშკარად იგრძნობოდა. ამის გამო გულისწუხილი ღიად გამოთქვა აქციაზე მისულმა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ადა მარშანიამ.**

**– ქალბატონო ადა, რატომ არ ჩანან დევნილები ამ აქციაზე, რომელსაც აფხაზეთზეა ლაპარაკი?**

– რა უნდა გითხრათ, ჩემთვის მტკივნეულ შეკითხვას მისვამთ. პასიურობენ. მაგრამ არის ერთი ფაქტორიც: ჩვენ არა გვაქვს საინფორმაციო არხი, დევნილებთან საკონტაქტო საშუალებები დაგვიხშეს. წაგვართვეს ტელევიზია, რადიო, გაზეთი გაგვიუქმეს, პარლამენტში დეპუტაცია არ გვყავს.

დღეს მთავარია ტელეეკრანი, დივანში ჩამჯდარ დევნილებს რომ მიმართო, მუხტი მისცე და ააყენო, ამას მიმართვა სჭირდება, მაგრამ ჩვენ გვბლოკავენ, როგორც სამთავრობო, ისე კერძო ტელევიზიებიც, მათ შორის „მაესტრო“ და „კავკასია“.

ლეგიტიმური მთავრობა კი გვქვია, მაგრამ არაფრის საშუალება არ გვაქვს, აი, შედეგი. დღეს აქ დევნილები თითქმის არ დგანან.

ლტოლვილები ვერ ახერხებენ თვითორგანიზებას, ერთი დიდი აქცია არ ყოფილა საქართველოში, – აღნიშნა გუბაზ სანიკიძემაც, – ხშირად უნდა მოვაწყოთ ასეთი შეკრებები და თავი შევახსენოთ მსოფლიოს, თორემ ისინი იფიქრებენ, რომ შევეგუეთ ტერიტორიების დაკარგვას. ეს არის მცოცავი დაშლა საქართველოსი, რომელშიც სააკაშვილს და ამ ხელისუფლებას დიდი წვლილი მიუძღვის, ეს არის: არასწორი პოლიტიკა აფხაზებისა და ოსების მიმართ, ასევე ქვეყნის შიგნით, არანაირი ხიბლი ქართულ



სახელმწიფოში ცხოვრებას არა აქვს. ჩვენ რას ვთავაზობთ აფხაზებსა და ოსებს?

პან გი მუნის მოხსენებიდან საქართველოს ამოღება მოსალოდნელი იყო. ახლა იმის ლაპარაკი, რომ პან გი მუნი – რუსეთის აგენტია, ეს არის სასაცილო. ხელისუფლების აპოლოგეტები გვარწმუნებდნენ, რომ კოსოვოს ფაქტორი არაფერ შუაში იყო, თუმცა რეალურად ამერიკამ და რუსეთმა არჩევანი გააკეთეს. ამერიკამ არჩევანი სერბეთის დაშლაზე გააკეთა, ხოლო რუსეთმა საქართველოს დაშლაზე.

**– ბატონო გუბაზ, როგორც თქვენ აღნიშნეთ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოთხოვნით, ან საგარეო ვითარების გასაპროტესტებლად აქციები მართლაც არ ყოფილა. თქვენი ოპონენტები კი არასაპარლამენტო ოპოზიციას სწორედ ამის გამო გაძლევდნენ შენიშვნებს. მათი ყიჟინა გაითვალისწინეთ?**

– „ფორუმს“ უკიჟინებდნენ ამას? არ ვიცი, პირველად მესმის.

**– როგორ, გია თორთლაძემ რამდენიმე ბრიფინგი გამართა, ხოლო ხელისუფლება მუდმივად რუსეთის საშიშროებით მანიპულირებს, რომელსაც ოპოზიცია არ ითვალისწინებს...**

– ხომ გეუბნებით, არ ვიცი, პირველად მესმის.

შეკრებაზე აქციის მხარდასაჭერად მხოლოდ გუგული მაღრაძე და აკაკი ასათიანი მივიდნენ, ხოლო ოპოზიციის სხვა არც ერთი ლიდერი არ გამოჩენილა.

გაეროს გადაწყვეტილება ნამდვილად გასაპროტესტებელია, ამას აუცილებლად სჭირდება ჩვენი ხალხის რეაქცია, – აღნიშნა **აკაკი ასათიანმა,** – ამას მხოლოდ კახა ლომაიას მხრიდან პან გი მუნის ლანძღვა არ უშველის. გაერო რამდენად გაითვალისწინებს ჩვენს აქციას, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ჩვენ ერთიანობით პოზიცია უნდა გამოვხატოთ.

ექსპერტი **რამაზ კლიმიაშვილი** შედარებით პესიმისტური განწყობით მივიდა აქციაზე. მან ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ აფხაზეთი გაჩუქებულია.

**– აჩუქეს?**

– ჩვენმა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა ამისთვის. ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ სხეფერმა ბოლო ჩამოსვლაზე სააკაშვილს გადასცა გაეროს გენერალური მდივნის დანაბარები: „გინდა ნატოში შესვლა? აფხაზეთი მიეცი რუსეთს!“ მე ადრეც ვამჩნევდი სააკაშვილს, რომ ის ამ ანკესზე წამოეგებოდა. აჩუქეთ, მერე რუსეთი გალს გაჩუქებთ უკან. საკითხი ასეა: ან ნატო, ან აფხაზეთი. სააკაშვილს მაინცდამაინც ნატო უნდა.

**– ე. წ. სამხრეთ ოსეთს რას უშვებიან?**

– ცხინვალი რუსეთს არ სჭირდება. ახალგორსაც შანტაჟისთვის იყენებენ. თუ აფხაზეთს დავთმობთ, ცხინვალსაც და ახალგორსაც დაგვიბრუნებენ, ოღონდ მთიან რაიონებს ოსეთს უტოვებენ.

**– სააკაშვილმა უკვე გადაწყვიტა აფხაზეთის დათმობა?**

– გადაწყვეტის პროცესშია. ვერ წყვეტს, მაგრამ აფხაზეთზე ხელი აქვს ჩაქნეული. მგონი, მას არც აქვს ნანახი აფხაზეთი. მეორეც, 15-20 წლის ახალგაზრდებს აფხაზეთი არც უნახავთ. ან ზუგდიდში ან თბილისში დაიბადნენ და გაიზარდნენ, ან აჭარასა და წყალტუბოში. მათ აფხაზეთის დაბრუნების სურვილი შეიძლება არც აქვთ. არ უნახავთ, არ იციან, არ უყვართ და რა ქნან?!

**– დღეს თქვენ მაშინ რისთვის მოხვედით?**

– რომ კიდევ ერთხელ ვთქვათ, ასე არ შეიძლება. თუ სააკაშვილი გავუშვით, მაშინ კიდევ შეიძლება აფხაზეთის დაბრუნებაზე ფიქრი.

**– რუსეთი დათმობს კი აფხაზეთს იმის მიუხედავად, თუ იქნება ჩვენთან პრეზიდენტი?**

– რუსეთს აფხაზეთი კი უნდა, მაგრამ ბევრი რამეც უნდა. მას სურს, ჩვენთან კარგი ურთიერთობის აღდგენა, რაც სააკაშვილის ყოფნის პირობებში შეუძლებელია.

**თეა მოსია**

◎ ოპოზიცია

# რატომ გაათავისუფლეს ხულოს გამგებელი

## როგორია რეგიონიდან დროებით ჩამოსული გუბაზ სანიკიძის შთაბეჭდილებები და რად თვლის იგი თავს ბედნიერად?



**„ეროვნული ფორუმი“, რომელიც არასაპარლამენტო ოპოზიციას იმის გამო გაემიჯნა, რომ რეგიონებში უნდა გასულიყო, სულ რამდენიმე საათით დაბრუნდა თბილისში ხულოდან. გუბაზ სანიკიძემ და კახა შარტავამ მაღალმთიან აჭარაში ირაკლი მელაშვილი დატოვეს, ხოლო თვითონ გაეროს ოფისის წინ საპროტესტო აქციის ჩასატარებლად დაბრუნდნენ.**

**რეგიონიდან გამოყოლილ შთაბეჭდილებებზე გუბაზ სანიკიძე გვესაუბრება:**

ვიყავით ხულოს რაიონში, – მითხრა გუშინ ბატონმა გუბაზმა, – დღეს ჩამოვედით და საღამოს ვბრუნდებით. იქ მოვივლით აჭარის მაღალმთიან სოფლებს, ხოლო შემდეგ გურიაში გადმოვინაცვლებთ.

**– როგორია ხალხის განწყობა, მართლაც ინფორმაციული ვაკუუმია, როგორც ამბობენ?**

– განწყობა არაჩვეულებრივია. მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ოპოზიციურად არის განწყობილი და საკმაოდ ბევრი ინფორმაცია აქვთ თბილისზე. თქვენ რომ წარმოგიდგენიათ იმაზე მეტი. თბილისში ჩამოსვლა უნდათ და აქციებზე მონაწილეობის მიღება, რომელსაც მათ ვერავინ დაუშლის. ჩამოვლენ კიდეც.

**– ამას ფინანსური ორგანიზება სჭირდება.**

– ორგანიზება სჭირდება, მაგრამ, არა ფინანსური. ადამიანს, რომელსაც ქვეყანა უყვარს, დაფინანსება არ სჭირდება. ეს ნაცმოძრაობამ მოიკითხოს თავის რიგებში ასეთი ადამიანები, თორემ სამშობლოს სიყვარულს ფული არ სჭირდება.

როცა დაისმება საკითხი, რომ საქართველოს მთელი მოსახლეობა თბილისთან ერთად განაახლებს აქციებს, რეგიონში მცხოვრები ადამიანები აუცილებლად ჩამოვლენ.

**– რეგიონიდან როგორ ჩანს აქ მიმდინარე პროცესები?**

– არ ვიცი, აქ რა მიმდინარეობს, ჩემს კოლეგებს არ შევხვედრივარ და რასაც ტელევიზიით ვისმენ, ის ვიცი.

**– სააკაშვილისა და გაჩეჩილაძის შეხვედრაზე რას იტყვით?**

– ხომ გეუბნებით, ზედაპირულად ვიცი. ისე, როგორც თქვენ იცით.

**– რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

– არც კარგი, არც ცუდი. წყლის ნაყვაა რა? თუმცა იმასაც ვფიქრობ, შეიძლება სჯობდა შეხვედრა, შეიძლება არც სჯობდა. ამით არ წყდება საქმე, მარტო თბილისი არ არის საქართველო და მხოლოდ აქ არ წყდება ჩვენი ბედი.

**– რაიონში არიან კი ისეთი რადიკალები, როგორც თბილისში?**

– ძალიან რადიკალები არიან, თბილისს რომ არ დაესიზმრება, ისეთი. გუშინ ხულოში სოფლის გამგებელი გაანთავისუფლეს იმიტომ, რომ ჩვენ მოგვიწყო შეხვედრა. კაცი ბედნიერი იყო, ამათი ვალი მოხდილი მაქვსო...

**– ვისი ვალი, ხელისუფლებისო?**

– დიახ, ხელისუფლების. აქ კიდევ ტრაგედიად ითვლება თანამდებობიდან განთავისუფლება.

**ნია ფიფია**

◎ ინფორმაცია

# სააკაშვილმა ქვეყანა ორად გაყო

**ექსპერტი გია ხუხაშვილი საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლას გამოეხმაურა. მისი თქმით, სააკაშვილმა ქვეყანა ორ ნაწილად გაყო, რადგან ის ადეკვატურად ველარ აფასებს ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას და სხვა რეალობაში ცხოვრებას ამჯობინებს.**

ჩემი აზრით, სააკაშვილმა ქვეყანა ორად გაყო, ერთი, რომელშიც თვითონ ცხოვრობს და მეორე, რომელშიც – დანარჩენი ხალხი. ის არ იყო ბოლომდე ადეკვატური. მის გამოსვლაში იგრძნობოდა ძალიან დიდი გაბრაზება, აგრესია, რომლის დაფარვასაც უშედეგოდ ცდილობდა. არ ვიცი, რითი იყო ეს გამოწვეული, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილი ძალზე გაღიზიანებულია, – განაცხადა ექსპერტმა.

მისი თქმით, როდესაც სააკაშვილმა თავის გამოსვლაში ოპოზიციის მხარდამჭერების გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობა გამოაცხადა, საკმაოდ დიდი შეცდომა დაუშვა, რადგან პრეზიდენტის პრეროგატივა არ არის ადამიანების ციხეებიდან გამოშვება.

ექსპერტი ზონდერბრიგადების თემასაც შეეხო და აღნიშნა, რომ პრეზიდენტმა მხოლოდ ცალმხრივი ძალადობის ფაქტებზე ისაუბრა და არაფერი თქვა იმ პოლიციელებზე, რომლებიც გადაცმულ ფორმაში ღამღამობით მომიტინგეებს ესხმიან თავს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◎ გუშინ

# „წართმეულია, გრცხვენოდეთ!“

## „ობიექტივი“ პროტესტს აგრძელებს

**ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ ინიციატივით, ვარდების მოედანზე, სასტუმრო „ივერიის“ შენობის წინ, საპროტესტო აქცია გაიმართა. „ობიექტივის“ წევრებს შეუერთდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები: „7 ნოემბერი“ და „რატომ?“ მათ სასტუმრო „ივერიასთან“ და თაბუკაშვილის ქუჩაზე პლაკატები გააკრეს: „წართმეულია, გრცხვენოდეთ!“**

– საპროტესტო აქციების მიზანია ძალადობასთან და წართმევის ფენომენთან დაპირისპირება, – გვითხრა „ობიექტივის“ დამფუძნებელმა ირმა ინაშვილმა, – 2004-09 წლებში კანონიერ მესაკუთრეებს წაართვეს ქონება – სახლები, სავაჭრო ობიექტები, ტელევიზიები... „ობიექტივის“ ჟურნალისტებმა გადავწყვიტეთ დავიწყოთ პლაკატების გაკვრა ყველა წართმეულ სახლთან, მათ შორის რეგიონებში. ამით დავანახვებთ ხელისუფლებას, რომ ვიცით, რა ქონებაა წართმეული.

პლაკატების გაკვრის პარალელურად, „ობიექტივი“ აწარმოებს ჟურნალისტურ მოკვლევებს ამა თუ იმ ობიექტის წართმევასთან დაკავშირებით და კვირაში ერთხელ საზოგადოებრიობას ამის შესახებ ვამცნობთ.

ირმა ინაშვილის თქმით, 2005 წელს სასტუმრო „ივერია“ წაართვეს თბილისელებს, დევნილები იქიდან ერთ ღამეში გამოასახლეს ისე, რომ მწირი კომპენსაცია მისცეს. მათ საცხოვრებელი ბინებიც ვერ შეიძინეს.

„ობიექტივის“ დამფუძნებელმა აღნიშნა, რომ ტყუილია, თითქოსდა „ივერიაში“ ყაზახური ინვესტიცია ჩაიდო. ეს ფასადია, სინამდვილეში ამ შენობის მიღმა ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესჯგუფი დგას – კომპანია „ახალი სასტუმროების“ შემქმნელი.

ირმა ინაშვილის თქმით, ყაზახური ინვესტიციების სახელით მიმდინარეობს უმნიშვნელოვანესი ქონების დასაკუთრება. „ივერიის“ შენობა საერთაშორისო სასტუმროების ქსელ „რედისონის“ ერთ-ერთი ფილიალი იქნება: „ამ რაღაც ქსელში ჩართულია ყაზახური ბანკი „ტურანი“, რომელშიც ფოსტის შენობა გირაოთია ჩადებული“, – განაცხადა ირმა ინაშვილმა. მისი თქმით, „ობიექტივს“ სათანადო დოკუმენტაცია მოპოვებული აქვს. „ობიექტივი“ უახლოეს ხანში საპროტესტო აქციებს გამართავს: ტელეკომპანია „იმედთან“, მთაწმინდის პარკთან, „არტი ჯგუფის“ საწარმოებთან. აქცია იგეგმება საზოგადოებრივ მაუწყებელთანაც, რომელიც, ირმა ინაშვილის თქმით, მარტო იდეოლოგიურად კი არ წაართვეს ხალხს, არამედ მატერიალურადაც. მსგავსი აქციები რუსთაველის პროსპექტზეც გაიმართება ყველა იმ ობიექტთან, რომელიც უკანონოდაა დასაკუთრებული, პრივატიზებული და წართმეული. „ჩვენი, ჟურნალისტების, ვალია, სიმართლე ვუთხრათ ხალხს“, – განაცხადა ირმა ინაშვილმა.

**თამარ შაიშმელაშვილი**

თვალსაზრისი



მიხეილ სააკაშვილისა და ლევან გაჩეჩილაძის შეხვედრის შედეგებზე, ამ შეხვედრის სავარაუდო მიზნებსა და მიზეზებზე, ხელისუფლება-ოპოზიციის ურთიერთობის პერსპექტივაზე „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტთა კლუბის პრეზიდენტს სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.

# სოსო ცისკარიშვილი: რამდენიმე ადამიანი ქმნის იმ სააკაშვილს, რომელიც შეხვედრაზე გაჩეჩილაძემ იხილა

**— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებდით სააკაშვილი-გაჩეჩილაძის შეხვედრის შედეგებს, უფრო სწორად გაჩეჩილაძის მონათხრობს გამართულ შეხვედრაზე, ვინაიდან პრეზიდენტს ამ თემაზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია...**

— შავნაბადას რეზიდენციაში შეხვედრის დეტალები ჩვენ მოვისმინეთ მისი ერთი მონაწილისგან. ვფიქრობ, პრეზიდენტი ამ თემაზე რაიმე ტიპის კომენტარით თავს არ შეიწუხებს, მაგრამ თუ კომენტარი მაინც გააკეთა, ფაქტია, რომ ახალს არაფერს იტყვის.

ჩვენ საკმაოდ დეტალური ინფორმაცია მივიღეთ ლევან გაჩეჩილაძისგან. მისასალმებელია, რომ ამ შეხვედრასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები არ დარჩა და თბილისის მოსახლეობას სატელევიზიო ეთერით ჰქონდა საშუალება, ინფორმაცია მიეღო. ჩემთვის სამწუხაროა, რომ თავად შეხვედრის გამართვა იყო უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ასეთი შეხვედრისთვის მომზადებული რაიმე ტიპის შეთავაზება.

როდესაც გადის ერთი თვე ოპოზიციასთან უკანასკნელი კონტაქტისა და პრეზიდენტი, ოპოზიციასთან მოლაპარაკებების გაგრძელების ნაცვლად, სასაუბროდ იწვევს ოპოზიციის მხოლოდ ერთ ლიდერს და მისთვის რაიმე ახალი სათქმელი არა აქვს, ეს, უპირველეს ყოვლისა, სახელისუფლო კრიზისის მაჩვენებელია. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი პრეზიდენტი თურმე კრიზისს ვერ ხედავს, თურმე თავად აღიარებს, რომ საქართველო არის ჩიხურ მდგომარეობაში. თუ ჩიხური მდგომარეობა და კრიზისი პრეზიდენტისთვის სრულიად განსხვავებული თემებია, როგორია ჩვენი პრეზიდენტის წარმოდგენაში ჩიხური მდგომარეობის ახსნა და რამ შეგვიყვანა ამ ჩიხში, ალბათ განმარტებებს მისი პრესსპიკერისაგან მაინც მოვისმენთ.

იხ. 5 გვ.

*საქართველოს პრეზიდენტისა და ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ლევან გაჩეჩილაძის შეხვედრას საზოგადოებაში სხვადასხვა ინტერპრეტაცია მოჰყვა. უკმაყოფილო იყო ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერიც, რადგან შეხვედრამ მათ გარეშე ჩაიარა. რატომ აირჩია პრეზიდენტმა მაინცდამაინც ლევან გაჩეჩილაძე, რატომ დათანხმდა პრეზიდენტისგან შეხვედრის შეთავაზებას ე.წ. „ხალხის პრეზიდენტი“ და რა ცვლილებებია მოსალოდნელი ოპოზიციურ სპექტრში, ამ საკითხზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსს“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრა.*

# სოსო ცინცაძე: გაჩეჩილაძის განმარტებებით ვერ გავიგე, მაინც რაზე იყო საუბარი



**— ბატონო სოსო, რატომ აირჩია პრეზიდენტმა მაინცდამაინც ლევან გაჩეჩილაძე შეხვედრისათვის?**

— გაჩეჩილაძე იყო ყველაზე ეფექტიანი კონკურენტი მის წინა საპრეზიდენტო არჩევნებზე. დღეს გაჩეჩილაძე არის ოპოზიციის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ლიდერი. ამიტომ ბუნებრივია, რომ პრეზიდენტმა სწორედ გაჩეჩილაძე მიიწვია. შეიძლება არსებობს კიდევ, ფართო საზოგადოებისთვის უცნობი მიზეზები, რაზეც მე ვერ ვილაპარაკებ. ფაქტია, რომ პრეზიდენტის არჩევანი ბუნებრივი იყო.

**— რაც შეეხება შედეგს, როგორ შეაფასებდით პრეზიდენტისა და გაჩეჩილაძის შეხვედრას?**

— სიმართლე გითხრათ, მე დიდი ყურადღებით ვუსმენდი გაჩეჩილაძის განმარტებებს შეხვედრის შემდეგ სატელევიზიო გამოსვლაში და ვერ გავიგე, მაინც რაზე იყო საუბარი. ძნელი წარმოსადგენია და ჩემთვის დაუჯერებელია ის, რომ სამი საათის განმავლობაში პრეზიდენტი ლექციას უკითხავდა გაჩეჩილაძეს იმაზე, თუ რა ცუდია რუსეთი. მე ამას ვერ დავიჯერებ. ვერც იმას დავიჯერებ – იმაზე იყო პრეზიდენტის საუბარი გათვლილი, რომ გაჩეჩილაძე დაერწმუნებინა, თითქოს სააკაშვილი – ეს არის ერთადერთი შეუცვლელი პრეზიდენტი. იყო იქ სხვა პუნქტებიც.

**— თქვენი აზრით, რამდენად გულახდილი იყო ლევან გაჩეჩილაძე შეხვედრის შედეგებზე საუბრისას?**

— გაჩეჩილაძემ არ თქვა ღია ეთერში, თუ რა შესთავაზა პრეზიდენტმა მას. როდესაც ძმა უსვამდა კითხვებს, კი მარა რა გითხრაო? პასუხი იყო ისეთი, რომ – „სააკაშვილი ცხოვრობს სხვა სამყაროში. მას აქვს ორი საქართველო – ერთი თავისი, ერთი სხვისი“. ეს არ არის პასუხი. ეს უბრალოდ არის პასუხიდან არც თუ ისეთი ელეგანტური დიპლომატიური სტილით თავის დაღწევა. კიდევ იყო სხვა მოტივი – გაჩეჩილაძემ თქვა ერთი საინტერესო ფრაზა – მე არ მომცეს ოპოზიციის ლიდერებმა სტატუსიო. მას არ უთქვამს, მე არ მქონდა სტატუსიო. ძალიან დიდი განსხვავებაა „არ მომცასა“ და „არ მქონდას“ შორის. შეიძლება არც უთხოვია და ამიტომ არ ჰქონდა. რომ არ მისცეს, ეს უკვე ის არის, რომ უხეშად რომ ვთქვათ, აუკრძალეს შეხვედრა. ნიუანსური განსხვავებაა, რომელიც ძალიან დიდ პოლიტიკურ ძვრებზე მიგვანიშნებს.

რამდენჯერმე გაიმეორა გაჩეჩილაძემ, მიუხედავად იმისა, როგორ გამაკრიტიკებენ, მაინც გავაგრძელებ ამ კურსსო. ესე იგი, შეხვედრებითა და მოლაპარაკებებით აპირებს კურსის გაგრძელებას. მანამდე საინტერესო იყო ჩემთვის „უცნობის“ განცხადებაც. რასაკვირველია, სანამ გაჩეჩილაძე პრეზიდენტთან წავიდოდა, „უცნობი“, ალბათ, დეტალების საქმის კურსში იყო, როდესაც მან განაცხადა სიტყვა-სიტყვით: შეხვედრებისა და მოლაპარაკებების გარეშე არაფერი არ კეთდება, არც კარგი, არც ცუდიო. კარგს გულისხმობდა, ცუდის გაკეთება მოლაპარაკების გარეშეც შეიძლება. ეს უკვე რაღაც ცვლილებებზე მიგვანიშნებს, მიგვანიშნებს კი არა, ეს ცვლილებები უკვე გამოკვეთილია, ვინაიდან ძმები გაჩეჩილაძეები გუშინდლამდე რადიკალური ოპოზიციის რიგებში იდგნენ. ახლა, როდესაც ორივე ძმა გამოდის შეხვედრებისა და მოლაპარაკებების მოთხოვნით, თანაც „უცნობის“ სიტყვები მიგვანიშნებს იმაზე, რომ ის ნაპრალი, რომელიც გაჩნდა ოპოზიციის ლიდერებს შორის ჯერ კიდევ თვენახევრის წინათ, სულ უფრო და უფრო ფართოვდება და ღრმავდება.

რასაკვირველია, შავნაბადაზე შეხვედრა კონფიდენციალური იყო. კონფიდენციალური შეხვედრის შემდეგ, ელემენტარულად, აზრი არ აქვს საჯარო განცხადებების გაკეთებას, რადგან თვითონ შეხვედრის ფორმატი გულისხმობს იმას, რომ შეხვედრის არც ერთი მონაწილე სრულად არ იტყვის, თუ რაზე იყო საუბარი. სამი საათი საუბარი ხუმრობა არ არის, ძალიან დიდი დროა ეს, მით უმეტეს, ისეთი პოლიტიკოსებისათვის, როგორებიც სააკაშვილი და გაჩეჩილაძე არიან. ისინი 10 წელიწადზე მეტია ერთმანეთს მშვენივრად იცნობენ და იციან ერთმანეთის სიმპათიები, ანტიპათიები. მათ არ სჭირდებათ გაცნობითი საუბრები. სამი საათი სხვა უფრო სერიოზულ საკითხებზე იყო საუბარი, პირველ რიგში, ჩვენთვის საინტერესოა პრეზიდენტმა რა შესთავაზა გაჩეჩილაძეს. გარდა ამისა, საინტერესოა პრეზიდენტმა მას შესთავაზა პერსონალურად, როგორც გაჩეჩილაძეს, თუ, როგორც ოპოზიციის წარმომადგენელს, ანუ გუშინდელი შეთავაზებები მარტო გაჩეჩილაძეს ეხებოდა თუ მთელს ოპოზიციას, გაურკვეველი დარჩა ჩვენთვის. ძალიან ბევრი კითხვის ნიშნებია. ეს ბუნებრივიც არის. საერთოდ, ეს აჟიოტაჟი მე გაუგებრად მიმაჩნია კონფიდენციალური შეხვედრების დროს. ღამის 12.00 საათამდე მთელი ჯგუფი ჟურნალისტებისა ელოდა, როდის გამოვიდოდა გაჩეჩილაძე იქიდან, ასე ელოდებიან ხოლმე ვატიკანში რომის პაპის არჩევნებს მთელი ღამე. ეს აჟიოტაჟი არასოლიდურია, ისევე როგორც ძალიან ბევრი რამ ჩვენს საზოგადოებაში. თუ გნებავთ ის, ექსპერტთა კლუბი ჰქვია თუ ასოციაცია, რომელმაც მიმართვა წარმოადგინა, გადადგეს მთელი პარლამენტიო, არასოლიდური და სასაცილოა. ასეთი არაფრის მომტანი უშედეგო მიმართვა შეიძლება პოლიტიკოსმა გააკეთოს მხოლოდ პროპაგანდის ინტერესით. ექსპერტი იმის არის, რომ დადოს საექსპერტო, ობიექტური დასკვნა, რომლის განხორციელება რეალურია. ეს მოწოდება – ყველანი გადადექითო, სასაცილოა, არასერიოზულია. ეს იგივეა, აი, თქვენ, ხუთი ჟურნალისტი შეიკრიბოთ და პუტინს მიწეროთ – დაგვიბრუნეთ აფხაზეთი და ოსეთი, საერთოდ, შენ და მედვედევი წადით, გადადექით, ციმბირში იცხოვრეთო. ამას სერიოზულად ხომ არავინ აღიქვამს?! მსოფლიოში არ მომხდარა პრეცედენტი, რომ ვიღაც ექსპერტები, თანაც ოპოზიციური ექსპერტები მსგავს რამეს აკეთებდნენ. ამ კლუბში ხომ ყველა ოპოზიციური ექსპერტია. ექსპერტი რომ ოპოზიციის ღიად მხარდამჭერია, ის უკვე ექსპერტი აღარ არის. ის უკვე სუბიექტურია და ობიექტური ვეღარ იქნება. ექსპერტი, რომელიც ღიად ასაბუთებს თავის სიმპათია-ანტიპათიას, ის უკვე თვალზე რაღაცას იფარებს და მისთვის ობიექტური სურათის დანახვა შეუძლებელი ხდება. ასე იყო ამ შეხვედრაზეც. ამ ორი თვის განმავლობაში ისეთი რაღაცები ხდება, რაც სოლიდურობას აკლებს ჩვენს საზოგადოებას.

**— ბატონო სოსო, რატომ მოხდა ძმები გაჩეჩილაძეების პოზიციის ასე უცბად ცვლილება? რა შეიძლება იყოს ამის რეალური მიზეზი?**

— მაგას ვერ გეტყვით, ოპოზიციური ლიდერების სამზარეულოსთან ახლოს არ ვარ. ალბათ, ჰქონდა ობიექტური მიზეზები და საერთოდ, როდესაც რაიმე ჯგუფი თავის ტაქტიკისა და სტრატეგიის გათვლას იწყებს, აქ მხოლოდ ერთი მიზეზია – ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. კარგი ცხოვრებისგან არავინ არაფერს ცვლის. ყველა ცვლის მაშინ, როდესაც დარწმუნდება, რომ არსებული აღარვარგა. ტანსაცმელს გამოიცვლი, როდესაც მოდიდან გადის ეს ტანსაცმელი და ა.შ. თუ ყველაფერი კარგად მიდის, რატომ უნდა შეცვალო? რაც არ უნდა იდავო, რომ ყველაფერი კარგად არის, თბილისი უკვე ჩვენია და ახლა ზემო მარხაანილა დაგვრჩა დასაპყრობი, გავაგდებთ იქ გუბერნატორს და მორჩა, მთელი საქართველო ჩვენია, ესეც არასოლიდური და არადამაჯერებელია.

ინფორმაცია

## აკი ჟურნალისტებს აღარ ვცემთო?

**რეგიონული გაზეთის „გურია ნიუსის“ ჟურნალისტს ნატო გოგელიას გუშინ ჩოხატაურის პოლიციის შენობაში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.**

**ამის შესახებ გაზეთის მთავარმა რედაქტორმა და რეგიონული მედიის ასოციაციის თავმჯდომარემ ია მამალაძემ განუცხადა. მამალაძის თქმით, ჟურნალისტი მაშინ სცემეს, როდესაც პოლიციის შენობაში იმყოფებოდა.**

**— ჟურნალისტი ნატო გოგელია და ფოტოკორესპონდენტი პოლიციის შენობასთან მივიდნენ, რათა გაეშუქებინათ „რესპუბლიკური პარტიის“ წევრის მამუკა ცინცაძის დაკავების ფაქტი. ცინცაძე პოლიციის განყოფილებაში ჰყავდათ და მისი ოჯახის წევრები გვთხოვდნენ, მივსულიყავით, რათა დაკავებულზე ფიზიკური ზეწოლა არ მომხდარიყო. პოლიციის შენობასთან მისულ ჟურნალისტებს კარი დაკეტილი დახვდათ, რის შემდეგაც ნატო გოგელიამ პოლიციის უფროსს დაურეკა. კარი გააღეს, შენობაში შესული ჟურნალისტი კი სცემეს. ფოტოკორესპონდენტს ხელი შეუშალეს გადაღებაში, თუმცა ფიზიკურად არ შეხებიან. ჟურნალისტის ცემაში პოლიციის უფროსის ავთანდილ ვასაძის შვილი, ტატო ვასაძეც მონაწილეობდა, რომელიც სამხარეო პოლიციაში მუშაობს, — განაცხადა ია მამალაძემ და აღნიშნა, რომ ნატო გოგელია სამედიცინო ექსპერტიზაც ჩაუტარდა, რითაც ფიზიკური დაზიანებები დასტურდება.**

## სამხედრო სწავლებაში 8500 რუსი ჯარისკაცი მიიღებს მონაწილეობას

**სამხედრო სწავლება „კავკასია 2009“ -ში, რომელიც 29 ივნისს დაიწყება და 6 ივლისს დასრულდება, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს 8 ათას 500 სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას.**

**რუსული სააგენტოების ცნობით, სწავლებას რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის ხელმძღვანელი, არმიის გენერალ ნიკოლაი მაკაროვი ხელმძღვანელებს.**

**სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანლის, პოლკოვნიკ ალექსანდრე დრობიშევსკის ინფორმაციით, სწავლებაში 8,5 ათასი სამხედრო მოსამსახურის გარდა, დაგეგმილია 200 ტანკის, 450 ერთეული ჯავშანტექნიკისა და სხვადასხვა დანიშნულების 250-მდე საარტილერიო მანქანის მონაწილეობა. სწავლების ფარგლებში ნავარაუდევია რამდენიმე სხვადასხვა მასშტაბის მანევრის განხორციელება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 2 ათასი ჯარისკაცი, 80 ტანკი, 100 ჯავშანმანქანა.**

ინტერპრესნიუსი

განსჯა

# ზურაბ აბაშიძე: შეცდომები დღევანდელ მსოფლიოში ძალიან ძვირად ფასობს

## გვესაუბრება პოლიტოლოგი ზურაბ აბაშიძე

**– ოპოზიციონერი ლიდერები ხშირად ახსენებენ საქართველოში მიმდინარე პროცესებში დასავლეთის უფრო აქტიური ჩართვის აუცილებლობას და მოითხოვენ კიდეც ქვეყანაში აკრედიტებული უცხოელი დიპლომატებისგან ამ კუთხით გააქტიურებას. თქვენი აზრით, რამდენად საფუძვლიანია დასავლეთისთვის ამ ვალდებულების დაკისრება და ხომ არ არის ეს ქართული პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოების მხრიდან დაბალი პოლიტიკური კულტურის და განვითარების აღიარება? რამდენად გამართლებულია მოლოდინი იმისა, რომ პოლიტიკური კრიზისი სწორედ დასავლეთის აქტიური ძალისხმევის შედეგად გადაწყდება და კონკრეტულად რა კუთხით შეიძლება, გააქტიურდეს ამ პროცესებში საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევა?**

– ჩვენი შეცდომის სხვისთვის გადაბრალება ჩვენ, სამწუხაროდ, გვჩვევია. გარე ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი პატარა ქვეყნისთვის და ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც საქართველოა, მაგრამ ზედმეტი მნიშვნელობის მინიჭება უცხოეთისთვის, ჩემი აზრით, არ არის სწორი. გაზვიადებული მოლოდინები იმისა, რომ ჩვენს მაგივრად ჩვენს პრობლემებს – პოლიტიკურს თუ ეკონომიკურს – ვიღაც მოაგვარებს, გაუმართლებელია. რა თქმა უნდა, ჩვენი პრობლემები უმთავრესად ჩვენვე უნდა მოვაგვაროთ. საერთოდ, მეტი თვითკრიტიკა და ზომიერებაა საჭირო. ჩვენი დასავლელი მეგობრები მაქსიმალურად ცდილობენ, საქართველოში შექმნილი სიტუაცია რაც შეიძლება, სწრაფად დალაგდეს. მათი სურვილია, სიტუაცია არა მარტო განიმუხტოს, არამედ ქვეყანამ წინ გადადგას ნაბიჯი – დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებით და საერთო შეთანხმების მიღწევით. რამდენად რეალური და მიღწევადია ეს, სხვა საქმეა, მაგრამ მათი ამოცანა ეს არის. სხვათა შორის, მათ უკვირთ კიდეც, რო-




გორ „ვახერხებთ“ ამ პატარა ქვეყანაში საერთო ენას რომ ვერ ვპოულობთ. მართალი გითხრათ, ეს მეც დიდია ხანია, მაკვირვებს.

**– დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ დასავლეთი ქართულ არასაპარლამენტო ოპოზიციურ სპექტრში კონკრეტული ლიდერის გამოკვეთას ელის, რომელიც მეტ-ნაკლებად მისაღები იქნება მისთვის და ქართველი ხალხის ნდობითაც ისარგებლებს. თქვენ თუ ეთანხმებით ამ მოსაზრებას და ხედავთ თუ არა წარმოდგენილ პოლიტიკურ ლიდერებს შორის ასეთ ფიგურას, ან აქვს თუ არა რომელიმე მათგანს უახლოეს მომავალში ასეთ ლიდერად ჩამოყალიბების პერსპექტივა?**

– მიმაჩნია, რომ საქართველოში პოლიტიკური სპექტრი სათანადოდ ვერ განვითარდა. 90-იან წლებთან შედარებით, რიგი სფეროები აშკარად წინ წავიდა, ვთქვათ, საბანკო სისტემა, ბიზნესი. ეს ყველაფერი ნელ-ნელა იხვეწება, ჩვენი პოლიტიკური კულტურა კი ჩამორჩა და ეს ეხება როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას. ეს ბევრი ფაქტორით არის განპირობებული. განსაკუთრებით იკვეთება პარტიების ჩამოყალიბების პრობლემა. ეს პროცესი ჯერ არ დამთავრებულა და შეიძლება, ითქვას, სადღაც შუა გზაში ვართ. რიგ შემთხვევებში პროცესებში აქტიურად მონაწილე სუბიექტები არიან არა პარტიები, არამედ ცალკეული პიროვნებები (ამას ყოველგვარი შეურაცხყოფის გარეშე ვამბობ). პარტია კლასიკური გაგებით საქართველოში სულ რამდენიმეა. ალბათ, თანდათან ეს პროცესი უფრო გამოიკვეთება და მოხდება გარკვეული კრისტალიზაცია. პოლიტიკური პარტია არა მარტო რომელიმე პიროვნებასთან, არამედ რაღაც იდეოლოგიასთან, პროგრამასთან, პრინციპებთან, ხედვასთან უნდა იყოს ასოცირებული. ხშირად ვაკვირდები პარტიებს და ვერ ვიგებ, რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან, გარდა დასახელებისა და ლიდერებისა. ამიტომაც მიჭირს იმის თქმა, თუ რომელ ლიდერს რა პერსპექტივები აქვს. ჩემი დაკვირვებით, უცხოელი კოლეგებიც ასეთივე „გასაჭირში“ არიან.

**– 20 იანვარს, როდესაც აშშ-ის ახლადდანიშნულმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ინაუგურაციაზე ირაკლი ალასანია მიიწვია, გაჩნდა მოსაზრება, რომ ამერიკისგან ეს იყო მესიჯი ქართული საზოგადოების მიმართ, რომ საქართველოს მომდევნო პოლიტიკურ ლიდერად შტატებს სწორედ ალასანია ესახებოდა. თქვენ თუ იზიარებთ იმ აზრს, რომ სწორედ ალასანიას შეიძლება ანიჭებდეს უპირატესობას დასავლეთი?**

– მე მგონი, დასავლეთის მიდგომა არა მარტო საქართველოს მიმართ, არამედ ზოგადად პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ ცოტა შეიცვალა. უპირველესად ეს რუსეთს ეხება. 90-იან წლებში ამერიკის ადმინისტრაცია პირადად ელცინს უჭერდა მხარს. მაშინ მიაჩნდათ, რომ ელცინი იყო დასაყრდენი ძალა და გარანტი იმისა, რომ რუსეთი დემოკრატიულად განვითარდებოდა და ფსონი პირადად ელცინზე კეთდებოდა. მოგვიანებით, როცა დაინახეს, რომ პრეზიდენტი ელცინი თავისი გარემოცვის მძევალი გახდა და გარკვეულწილად მსხვერპლიც კი, ხოლო დემოკრატიული პროცესი რუსეთში სხვა გზით წავიდა, ვაშინგტონის ადმინისტრაციამ გააკეთა დასკვნა, რომ არა ერთი პიროვნებისთვის უნდა დაეჭირა მხარი, არამედ დემოკრატიული პროცესისთვის და ინსტიტუტებისთვის. პერსონიფიცირებული მხარდაჭერა შემდგომ შეიცვალა ინსტიტუციონალური მხარდაჭერით. ჩვენს მიმართაც ახლა მიდგომა იცვლება. ადრე უფრო პერსონიფიცირებული მხარდაჭერა იყო, ახლა კი ისეთი მიდგომა იკვეთება, რომ საქართველოში ზოგადად დემოკრატიის გაძლიერებას შეუწყონ ხელი. აშშ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ



მთლიანობასა და სუვერენიტეტთან ერთად არა ცალკეულ პიროვნებებს, არამედ დემოკრატიულ პროცესებს დაუჭერს მხარს და ვაშინგტონის სიმპათიებსაც ალბათ, ის პოლიტიკური ძალა და მისი ლიდერი დაიმსახურებს, რომელიც უფრო გამოიკვეთება ამ კონტექსტში. ვფიქრობ, რომ ამ თვალსაზრისით ბატონ ირაკლი ალასანიას კარგი შანსები აქვს.

**– თბილისში საპროტესტო აქციები უკვე 2 თვეზე მეტია, გრძელდება და ჯერჯერობით ამას რაიმე ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია. თქვენი აზრით, როგორ აისახა ეს პროცესები ზოგადად ქვეყნის, ასევე დაპირისპირებული პოლიტიკური მხარეების – ხელისუფლებისა და არასაპარლამენტო ოპოზიციის საერთაშორისო იმიჯზე? თუ შეიცვალა ამ ფონზე დასავლეთში დამოკიდებულება საპარლამენტო ოპოზიციისადმი?**

– ამ საპროტესტო აქციების დასაწყისში, პირველი ერთი კვირის მანძილზე ყველასათვის სასიამოვნო სიურპრიზი იყო, რომ მიტინგები მშვიდობიანად და ცივილიზებურად მიმდინარეობდა, მაგრამ როცა ეს ყველაფერი გაიწელა, როცა მოხდა უმსგავსი ინციდენტები, ამან დასავლეთში შეშფოთება გამოიწვია. ამ ყველაფრით ხელისუფლების და გარკვეულწილად ოპოზიციის პრესტიჟი ზარალდება, მთლიანად ილახება ქვეყნის ავტორიტეტი და იმიჯი, იქმნება რაღაც არასტაბილური და არეული, დაულაგებელი ქვეყნის სურათი, ამიტომ საბოლოო ჯამში, ყველა ვზარალდებით. ამის გათვალისწინებით, კრიზისი რაც შეიძლება, სწრაფად უნდა დამთავრდეს. თუკი მან ქრონიკული ხასიათი მიიღო, ჩვენს მიმართ დასავლეთის ინტერესი შემცირდება. გარდა ინტერესისა, დავკარგავთ რეალურ პროექტებში მონაწილეობის შანსს, ინვესტიციებს და ა.შ.

**– ამ კონტექსტში რომელი პოლიტიკური ფრთის მიერ არჩეული ბრძოლის მეთოდები შეიძლება, უფრო მისაღები იყოს დასავლეთისთვის: აქციების ორგანიზატორი ე.წ. „რადიკალების“ (ნინო ბურჯანაძე, სალომე ზურაბიშვილი, ეკა ბესელია, „კონსერვატორები“, პერიოდულად – ლევან გაჩეჩილაძე და „მემარჯვენეები“), „ფორუმელების“, რომლებმაც რეგიონებში გადაწყვიტეს გასვლა, თუ ირაკლი ალასანიასი?**

– რა თქმა უნდა, დიალოგი უნდა შედგეს და მოიძებნოს სიტუაციის განსამუხტავი გზა. სხვა რა უნდა იყოს შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი?! დიალოგს არ აქვს ალტერნატივა, სხვა გზას კი მხოლოდ ჩიხისკენ მივყავართ. როცა საერთაშორისო თანამეგობრობა ორივე მხარეს დიალოგისკენ მოუწოდებს, ჩვენ არ უნდა ვლიზიანდებოდეთ. დიალოგი პოლიტიკური კულტურის მთავარი ბურჯია. დიალოგის გზით წინსვლას და საერთოდ დიალოგის თემას ჩვენთან გულაცრუებული უყურებენ, რადგან ადრე დიალოგი უკვე შედგა და მას ხელშესახები შედეგი არ მოჰყოლია. მიუხედავად ამისა, ჩვენ მცდელობა არ უნდა დავაკლოთ. თუმცა ოპოზიციას აქვს იმის უფლება, რომ ამ დიალოგის პარალელურად ზეწოლის გარკვეული ფორმები გამოიყენოს. მექმნება შთაბეჭდილება, რომ ბოლო ხანს ხელისუფლებამ აშკარად დაკარგა კომპრომისის მიღწევის სურვილი და დიალოგის შესახებ უფრო „ზრდილობისთვის“ ლაპარაკობს. ამას დასავლელი კოლეგებიც ამჩნევენ. როგორც ჩანს, ხელისუფლების ლოგიკა ასეთია: „საპროტესტო მუხტი შემცირდა და აბა, დიალოგი რაღა საჭიროაო?!“. როცა ქუჩაში ბევრი ხალხია, ოპოზიციის მიმართ ტონს არბილებენ, როცა მომიტინგეთა ხალვათობაა, მაშინ ხმას უმაღლებენ და ა.შ. ეს არ არის სახელმწიფო მიდგომა. ამით მხოლოდ რადიკალურ ტენდენციებს უწყობენ ხელს მათ სასარგებლოდ, ვინც ამტკიცებს, რომ ამ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას აზრი არ აქვს. საპროტესტო მუხტი კი არსად დაიკარგება და მოგვიანებით უფრო მძაფრ რეაქციას მივიღებთ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ შემოდგომაზე სოციალური ფონი უთუოდ დამძიმდება.

**– ოფიციალურად, მთელი არასაპარლამენტო ოპოზიციური სპექტრი, აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთსულოვნად და შეთანხმებულად მოქმედებს, თუმცა მიმდინარე პროცესებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ წარმოდგენილ ძალებს შორის პერიოდულად გარკვეული გადაჯგუფებები ხდება. კერძოდ, განსაკუთრებით ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში შეიმჩნეოდა ერთის მხრივ, ლევან გაჩეჩილაძის, ხოლო მეორეს მხრივ, დავით გამყრელიძის პოლიტიკური სიმპათიების მერყეობა ე.წ. რადიკალებსა და უფრო ზომიერ ოპოზიციურ ლიდერებს შორის. თქვენ რა არჩევანის გაკეთებას ურჩევდით თითოეულ მათგანს?**

– არასაპარლამენტო ოპოზიციაში მართლაც ჩანს აზრთა სხვადასხვაობა. ერთი ნაწილი თითქოს ზომიერია, მეორე კი – თავის მოთხოვნებში უფრო მკვეთრი. მე პირადად იმის მომხრე ვიქნებოდი, რომ ამ ეტაპზე სიტუაცია რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებით განიმუხტოს და ქვეყანამ ერთი ნაბიჯი მაინც გადადგას წინ.

**– ხელისუფლებამაც და არასაპარლამენტო ოპოზიციამაც მოლაპარაკებებისთვის რამდენიმეპუნქტიანი გეგმები წარმოადგინეს. თქვენ რა საკითხებს განსაზღვრავდით დიალოგისთვის მაქსიმალური შედეგის მისაღებად? ანუ რა კონკრეტულმა ცვლილებებმა შეიძლება, განმუხტოს, თქვენი აზრით, პოლიტიკური კრიზისი?**

– როგორც ვნახეთ, ხელისუფლებამ ოპოზიციას 5-პუნქტიანი გეგმა წარუდგინა, შემდეგ ოპოზიციამ ხელისუფლებას 6-პუნქტიანი გეგმით უპასუხა. ახლა ბურთი ხელისუფლების მოედანზეა და პასუხიც მისგან უნდა წამოვიდეს. თუკი მე ვცდები და ხელისუფლება ჯერაც ფიქრობს კომპრომისზე, მაშინ აუცილებლად უნდა მოხდეს ამ წინადადებების შეჯერება. ხელისუფლება ამბობს, რომ უნდა შეიცვალოს საარჩევნო კოდექსი, ასევე კონსტიტუციაში აპირებენ ცვლილებების შეტანას. ამ ყველაფრის ლოგიკური დასასრული ხომ უნდა იყოს არჩევნები?! თუ არა არჩევნები, მაშინ ეს ყველაფერი რისთვის კეთდება?! უჯრაში შევინახოთ ეს ცვლილებები და ველოდოთ 2013 წელს?! ეს უბრალოდ არალოგიკურია. ამიტომ, ჩემი აზრით, კარგი გამოსავალი ხელისუფლებისთვის, ოპოზიციისთვის და საერთოდ ქვეყნისთვის პარლამენტის არჩევნები იქნებოდა.

**– უცხოელ სტუმრებთან ერთ-ერთი შეხვედრის დასრულების შემდეგ ოპოზიციონერმა ლიდერმა კახა კუკავამ ერთგვარი უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ „უცხოელები არაადეკვატურ კითხვებს სვამდნენ“ და აქვე განმარტა, რომ ასეთად მიიჩნია კითხვა იმის შესახებ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების როგორი გეგმა აქვს არასაპარლამენტო ოპოზიციას ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. ზოგადად, მთელი ამ ხნის განმავლობაში ოპოზიციონერ ლიდერებს არაერთხელ განუცხადებიათ მომიტინგეთათვის, რომ ამ ეტაპზე მთავარი ხელისუფლების შეცვლაა და ყველა გეგმა მხოლოდ ამის შემდეგ გახმიანდება. თქვენ როგორ აფასებთ ასეთ მიდგომას და როგორ აფასებენ მას, თქვენი აზრით, უცხოეთში?**

– საერთოდ ჩვენი სენია, რომ ეკონომიკაზე თითქმის არ ვლაპარაკობთ. თითქოს ეკონომიკა არ იყოს მნიშვნელოვანი და ქვეყანა თავისთავად დალაგდება, – „აბა, რა ვაჟკაცის საქმეა ეკონომიკაო?!“. იმ ფონზე, როცა მსოფლიოში ეკონომიკური კრიზისია, ჩვენ მხოლოდ პოლიტიკა გვადარდებს. ეს მეც მაკვირვებს და რა გასაკვირია, უცხოელებს უკვირდეთ და კითხვები ჰქონდეთ?!

**– თუ ბოლო ორი ათწლეულის მოვლენებს დავაკვირდებით, საქართველოს მოსახლეობაში შეიძლება, გარკვეული გაორება შევამჩნიოთ, რომელსაც დღესაც აქვს ადგილი და შეიძლება, გარკვეულწილად მომძლავრდა კიდეც: ერთის მხრივ, სწრაფვა დასავლეთისკენ (რომელიც შესაძლოა, რეალურად სსრკ-ში დაბრუნების შიშით უფრო იყოს განპირობებული), და მეორეს მხრივ, დასავლური ფასეულობების მიუღებლობა ქართული, ხშირ შემთხვევაში კი ჩვენში ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი საბჭოური მენტალობის გამო. თქვენ თუ ამჩნევთ ასეთ ტენდენციებს და ხომ არ თვლით, რომ პოლიტიკოსთა მოწოდებები, რომ დასავლეთი თითქოს არასაკმარისად გვეხმარება, ერთგვარად არაპოპულარულს ხდის საქართველოს მოქალაქეებში დასავლურ ღირებულებებს?**

– ამ გაორებას ბევრი მიზეზი აქვს, ნაწილობრივ ეს ჩვენი ისტორიიდანაც გამომდინარეობს. ოდითგანვე გზაჯვარედინზე ვიყავით, დიდ მოთამაშეებთან გვიწევდა ჩვენი გადარჩენის გზის ძიება. ეს გარკვეულწილად დღესაც გრძელდება. დღეს დასავლეთსა და რუსეთს შორის სერიოზული ბრძოლა მიდის კავკასიის რეგიონისათვის. ერთის მხრივ, თითქოს კარგია, რომ გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი ადგილი გვაქვს, მაგრამ ამან, არასწორი პოლიტიკის შემთხვევაში, შეიძლება, ბევრი რამ გადაიყოლოს. აკი გადაიყოლა კიდეც, მხედველობაში მაქვს ტერიტორიების დროებით (?!) დაკარგვა. დიდი გონიერება და წინდახედულობა გვმართებს. შეცდომები დღევანდელ მსოფლიოში ძალიან ძვირად ფასობს.

**ლევან ჭითანავა,**
**„პირველი“**

თემა

# გოჩა გვარამია: აფხაზების გარკვეული ნაწილი რეალურად აფასებს მიმდინარე პროცესებს...

***დამოუკიდებელი ექსპერტი გოჩა გვარამია ბაღაფშის განცხადებას, რომ ვრცელდება ჭორები, რუსეთი აფხაზეთის კრასნოდარის მხარესთან შეერთებას გეგმავს, რუსეთის მხრიდან აფხაზი ხალხის რეაქციის გასაგებად შემოგდებულ თემად მიიჩნევს. მისივე თქმით, გავრცელებული ხმები რუსეთის მხრიდან აფხაზეთისთვის მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ, ბაღაფშის ოპონენტების წინასაარჩევნო პიარკამპანიის ნაწილია. გვარამია განმარტავს, რომ რუსეთთან შეერთების თემა აფხაზეთში კრემლმა ადრეც შემოაგდო და ამან ხალხის მწვავე რეაქცია გამოიწვია. ახლა კი მოსკოვს ისევ აინტერესებს ამ ეტაპზე აფხაზები ამას როგორ მიიღებენ. ამ თემებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ გოჩა გვარამიას ესაუბრა.***



**— ბატონო გოჩა, სერგეი ბაღაფშმა ერთ-ერთ რუსულ გამოცემასთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ აფხაზეთში ჭორები გავრცელდა, თითქოს მისი შემოყვანილი რუსები აფხაზ ხალხს შთანთქავენ, მათ მშობლიური ენის სწავლებას ხელს უშლიან და კრასნოდარის მხარესთან შეერთებას უპირებენ. ეს ყველაფერი ბაღაფშმა უარყო და ოპონენტების მიერ გავრცელებული ჭორი უწოდა. როგორ შეაფასებთ სეპარატისტთა ლიდერის ამ განცხადებას?**

— როგორ შეიძლება იმის თქმა, რომ რუსეთი აფხაზეთში მშობლიური ენის შესწავლას ხელს არ უშლის, როდესაც აფხაზეთში სწავლება ყველა დონეზე რუსულად მიმდინარეობს. მთელი სასწავლო პროგრამა მოსკოვში იბეჭდება და რუსული იდეოლოგიითაა გაჯერებული.

**— ფაქტია, რომ აფხაზეთში ამაზე საუბრობენ, ანუ საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამ საშიშროებებს ხაზს უსვამს. ეს ხომ არ არის მასშტაბური ანტირუსული პროტესტის დასაწყისი?**

— ძნელია იმის თქმა, ეს პროცესი მასობრივ ხასიათს მიიღებს თუ არა, რადგან დეკემბერში დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული და მგონია, რომ ამ თემებს ბაღაფშის ოპონენტები წინასაარჩევნო კამპანიისთვის იყენებენ.

**— რას უნდა ნიშნავდეს, თუკი ასეთ კამპანიას, როგორც ამბობენ, რაულ ხაჯიმბა აგორებს?**

— ხაჯიმბა მართლაც გავლენიანი ფიგურაა, რომელიც უშუალოდ პუტინთანაა დაახლოებული და ფეესბეს ელიტასთან აქვს ურთიერთობა. უბრალოდ ამ თემებს წინასაარჩევნო კამპანიისთვის იყენებს.

**— მისი ოპოზიციაში გადასვლა რას შეცვლის?**

— საქართველოსთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ მოვა იქ. ყველა რუსულ პოლიტიკას გაატარებს.

**— თუ არის ვინმე აფხაზეთში ისეთი გამოკვეთილი ფიგურა, რომელიც ანტირუსული პოლიტიკის მომხრეა?**

— ანტირუსული პოლიტიკის მქონე გავლენიანი ფიგურა იქ არავინ არის. ის პოლიტიკური ელიტა, რომელიც აფხაზეთში არსებობს, ყველა სხვადასხვა რუსული კლანის მიერ კონტროლდება. ეს არის რუსეთის გენერალიტეტის კლანი, პუტინის კლანი და როგორც ამბობენ, უკვე მედვედევის ფარული კლანიც. რუსეთისგან მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრის დაწყება ეს მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიაა.

**— სხვა არაფერი? ამ პროცესს განვითარება არ ექნება?**

— არა. ხაჯიმბა პირიქით, აფხაზეთს რუსეთთან უფრო დააახლოვებს და საქართველოს რეალურად მოწყვეტს.

**— პროთურქული ფიგურა თუ არის ვინმე?**

— ადრე იყო, სანამ პოლიტიკურ ასპარეზზე რუსეთი პირდაპირ საქართველოს ებრძოდა. მაშინ თურქულ ბიზნესს სერიოზული განვითარება ჰქონდა აფხაზეთში და პოლიტიკური გავლენებიც ჰქონდათ. როცა კრემლში საშიშროება დაინახეს, რომ აფხაზეთში თურქული გავლენა ძლიერდება და შესაძლოა ეს რეგიონი თურქეთს ჩაეგდო ხელში, რეგიონიდან თურქული ბიზნესის განდევნა დაიწყეს. პრაქტიკულად დღეს აფხაზეთში არც ერთ სფეროზე თურქული გავლენა უკვე აღარ არსებობს.

**— ბაღაფში აცხადებს, რომ რუსეთს არასოდეს მოუთხოვია აფხაზეთისთვის მის ფედერაციაში შესვლა.**

— ოფიციალურად რუსეთი ამას არ მოითხოვს იმიტომ, რომ საერთაშორისო საზოგადოების თვალში ისედაც შელახული იმიჯის კიდევ უფრო შელახვას უფრთხილდება. მაგრამ რად უნდათ მოთხოვნა, როცა საქართველოსთან აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვრებს მთლიანად რუსები აკონტროლებენ?!. ოკუპაციის შემდეგ რუსული კაპიტალი უკვე აქტიურად შემოვიდა აფხაზეთში და მშენებლობები გააჩაღეს. რუსეთს აფხაზეთი პრაქტიკულად უკვე შთანთქმული ჰყავს. შესვლა ეს უკვე სუფთა მექანიკური ხასიათისაა, რომელიც ხაჯიმბას მმართველობის პირობებში გაცილებით მარტივად მოხდება, ვიდრე ბაღაფშის მმართველობის პირობებში. ვინაიდან ხაჯიმბა ბოლომდე პუტინის მორჩილი კაცია. ბაღაფში კი ხაჯიმბასგან განსხვავებით, ზოგიერთ შემთხვევაში თავის პოზიციასაც აფიქსირებს.

**— ბაღაფშმა განაცხადა, აფხაზებს დაავიწყდათ, ადრე რუსეთის ფედერაცაში შესვლას რომ ითხოვდნენო.**

— ამაზე საუბარი იყო რუსეთის მხრიდან. აფხაზეთის მხრიდან კი, რეაქცია მოჰყვა. იყო საუბრები იმის შესახებ, რომ აფხაზეთი და ყარაჩაი-ჩერქეზეთი უნდა გაერთიანებულიყო და კრასნოდარის მხარეს შეერთებოდა. გასულ საუკუნის სამოციან წლებში ამაზე საუბარი მოსინჯეს და ეს ინფორმაცია მედიაში შეაგდეს, ანუ აფხაზების რეაქცია მოსინჯეს. ამან მწვავე რეაქცია გამოიწვია როგორც ჩრდილო კავკასიაში, ასევე აფხაზეთშიც.

**— ახლა მწვავე რეაქციას არ გამოიწვევს?**

— ეს თემა ახლაც რეაქციის გასაგებადაა შემოგდებული. მაშინ თუ პირდაპირი ტექსტით შემოაგდეს, ახლა შენიღბული ფორმითაა. აინტერესებთ ხალხი როგორ „შეჭამს“ ამას, სწორედ ამ რეაქციაზე იქნება დამოკიდებული მოვლენების შემდეგი განვითარება.

**— ამდენი ნეგატიური პროცესების ფონზე, საქართველოსთვის სასიკეთო პროცესები თუ ვითარდება?**

— შეიძლება ერთადერთ სასიკეთო პროცესად ჩავთვალოთ ის, რომ მოსახლეობის ნაწილმა მაინც გაიღვიძა, აფხაზების გარკვეული ნაწილი რეალურად აფასებს მიმდინარე პროცესებს. ხედავენ, რომ რუსეთი, ყველაფერს იპყრობს და შთანთქავს. მასების გარკვეულ ნაწილში არის განწყობა, რომ ქართველებთან უკეთესად ვიყავით და ესენი რას გვიშვრებიანო. მაგრამ ხმის ამოღების უფლებაც არ აქვთ, ამ თემაზე ერთმანეთთან ლაპარაკისაც კი ეშინიათ.

თვალსაზრისი

# სოსო ცისკარიშვილი: რამდენიმე ადამიანი ქმნის იმ სააკაშვილს, რომელიც შეხვედრაზე გაჩეჩილაძემ იხილა

(მესამე გვერდიდან)

მრჩება შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტის გარემოცვაში არიან სერიოზული პროფესიონალები, რომლებიც ეფექტიანად იყენებენ სრულიად კონკრეტული ფსიქოტიპისთვის დამახასიათებელ თვისებებს და ინფორმაციის მიწოდება-არმოწოდების ტექნოლოგიების გამოყენებით რეალურად ამყოფებენ პრეზიდენტს მის მიერ შექმნილ კმაყოფილ საქართველოში.

**— ის, რომ პრეზიდენტს გაჩეჩილაძისთვის პრაქტიკულად არაფერი ახალი არ უთქვამს, ნიშნავს თუ არა, რომ ხელისუფლება ოპოზიციასთან მოლაპარაკებების წარმოებისა და რაიმე სახის კომპრომისისთვის მზად არ არის?**

— სამწუხაროდ, რაიმე ტიპის მზადყოფნა, ინიციატივა, ახალი აზრი სახელისუფლო გუნდს არა აქვს. ხელისუფლების პოზიცაა — „ასე მინდა“, ხოლო რა არის ის, რაც უნდათ, ამას ხალხი შესანიშნავად ხედავს. ძნელია, იკამათო ადამიანთან, რომლისთვისაც, თურმე ამოუცნობია თბილისის ფენომენი, ეს პრეზიდენტს თავად უთქვამს. რასაკვირველია, თბილისის ფენომენი დაკავშირებულია კომუნიკაციების არსებობის რეალობასთან, თუნდაც შეზღუდულის, მაგრამ — მაინც. თბილისში ადამიანები არ არიან ისეთ ინფორმაციულ ვაკუუმში, როგორც — დანარჩენ საქართველოში. ეს შესანიშნავად ესმის სააკაშვილს, მის უახლოეს გარემოცვას და ვწუხვარ, რომ პრეზიდენტთან გაჩეჩილაძის საუბრისას კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ტელეკომპანიების დარბევა და მათი მეპატრონეებისთვის წართმევა სწორედ სააკაშვილის ინიციატივა გახლდათ.

ამ თემაზე ის საუბრისთვისაც მზად არ არის. ნებისმიერი საუბარი იმაზე, რომ საქართველოში დემოკრატიის მესამე, მეოთხე და მეცხრე ტალღა სახელისუფლო გუნდის ინიციატივით აგორდება, არის აბსოლუტური სიცრუე და მის მომლოდინე ადამიანს შეუძლია, არხეინად გადავიდეს ძილის მდგომარეობაში.

**— იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი არჩევნები კრიზისულ ვითარებას ვერ განმუხტავს, რით შეიძლება აიხსნას ხელისუფლების დაინტერესება ადგილობრივი არჩევნებით და თუნდაც თბილისის მერის პირდაპირი არჩევნებით?**

— ადგილობრივი არჩევნები რომ ვითარებას ვერ განმუხტავს, ფაქტია. რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებაში მყოფი ნიჭიერი ხალხი აზროვნების ჩიხშია. გასული წლის აგვისტოში, როდესაც ოპოზიციამ გამოთქვა მზადყოფნა, ჩართულიყო ანტიკრიზისულ პროცესში, მაშინ იყო ერთ-ერთი ცნობილი ელჩის მიერ ინიცირებული ადგილობრივი არჩევნების თემა და ოპოზიციას უსვამდნენ კითხვებს — თქვენ დაანებებთ თავს სააკაშვილთან დაპირისპირებას, თუ რიგგარეშე ადგილობრივი დაინიშნება?

ასე რომ, ეს ძალიან ძველი თემაა და ვწუხვარ, მოვლენები, რომლებიც შარშანდელი აგვისტოს შემდეგ განვითარდა საქართველოში, არანაირი ზემოქმედების ფაქტორი არ აღმოჩნდა ამ ადამიანების აზროვნებაზე. რაღაც ჩაკირული სიტუაციაა, მაგრამ ეს შემთხვევით არ ხდება. მეგულება რამდენიმე ადამიანი, ვინც ქმნის იმ სააკაშვილს, რომელიც შეხვედრაზე გაჩეჩილაძემ იხილა.

**— თუ შეიძლება დააზუსტეთ, ვის მოიაზრებთ ასეთ ადამიანებად?**

— უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებისთვის უცნობ ქართულენოვან ამერიკელ მო-



ქალაქეს. ის და მისი თანამოაზრეები არწმუნებენ პრეზიდენტს, რომ მისი გადადგომის შემთხვევაში საქართველო რუკიდან საერთოდ გაქრება. მისი სახელი და გვარი პირადად ჩემთვის უცნობია, მაგრამ ფაქტი მისი არსებობისა ჩემში ეჭვს არ იწვევს, რადგან მაქვს ამგვარი ინფორმაცია და ეს არ არის მხოლოდ ჩემი ვარაუდი. როდესაც ქვეყნის პირველი პირი ასეთ ვითარებაშია, შეიძლება, სულ მალე მივიდეთ იქამდე, რომ მას, როგორც ლენინს, გაზეთის თითო ეგზემპლარი დაუბეჭდონ, რომ კარგ ხასიათზე ამყოფონ.

**— იმის გათვალისწინებით, რომ ოპოზიცია ბრძოლის რადიკალიზაციას გეგმავს, არსებობს თუ არა იმის ალბათობა, რომ პროცესები სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიდეს?**

— რასაკვირველია, ხელისუფლების სიყრუე საზოგადოების განწყობების რადიკალიზაციას გამოიწვევს. სააკაშვილი-გაჩეჩილაძის შეხვედრა დამთავრდა მაინც შედეგით და ეს შედეგი გახლავთ გაჩეჩილაძის მიერ ნათქვამი კონკრეტული მოქმედების გეგმა ოთხი მიმართულებით. გეგმა ითვალისწინებს სააკაშვილის შემდეგ საქართველოსთვის პროგრამების შექმნის აუცილებლობას, საპროტესტო აქციების დაგეგმვის და განხორციელების პროცესის დახვეწას და გაძლიერებას, მოქალაქეთა უსაფრთხოების სისტემის გაძლიერებას და საერთაშორისო კონტაქტების უფრო ეფექტიანად წარმართვას.

ამავე დროს, საუბარია მომდევნო კვირაში ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანების შექმნაზე. იმ ფონზე, რაც ხელისუფლებამ ოპოზიციასთან მიმართებაში კიდევ ერთხელ შექმნა, ახალი მოძრაობა მძლავრი და პერსპექტიული ორგანიზაცია შეიძლება აღმოჩნდეს.

დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას, მაგრამ სააკაშვილი-გაჩეჩილაძის შეხვედრის მთავარი მიზეზი და შედეგი ის გახლდათ, რომ შეხვედრის სურვილი შედეგის მიღწევა არ ყოფილა. გაჩეჩილაძისთვის შეხვედრის შეთავაზებას ჰქონდა ორი მიზანი — ეს შეხვედრა არ შემდგარიყო და ყოფილიყო საფუძველი ოპოზიციის შემდეგი დისკრედიტაციის იმავე ამერიკელი სტუმრის, ფილიპ გორდონის წინაშე, რომლის ვიზიტს ქართული საზოგადოება გარკვეულ მოლოდინებს უკავშირებს. პრეზიდენტის მხრიდან ეს შეხვედრა იმის საჩვენებლად იყო ორგანიზებული, რომ ამერიკელი სტუმრისთვის ეთქვათ, რომ ხელისუფლებას ოპოზიციასთან დიალოგს აგრძელებს. სინამდვილეში ეს



არის მორიგი სიყალბე, რადგან დიალოგი ასე არ წარიმართება. მეორე მხრივ, ოპოზიციასაც და საზოგადოებასაც სრული უფლება აქვთ, პრეზიდენტის საზღვარგარეთელი პარტნიორებისგან სააკაშვილის ოპოზიციასთან რეალურ დიალოგზე წასვლა მოითხოვოს.

**კობა ბენდელიანი**

№ 116. პარასკევი, 12 ივნისი, 2009 წელი.

პოლემიკა

***გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ალექსანდრე ფოცხიშვილის წერილი გამოქვეყნდა „როდემდე გაგრძელდეს ასე?“ (3 ივნისი, 2009); ქვესათაური აზუსტებს მიზანს ავტორისას: „ობიექტურად შევაფასოთ დღევანდელი მოვლენების ზოგი მონაწილე“. ვისზეა საუბარი? — დასაწყისშივე განაცხადებს ავტორი: „წერილში ლაპარაკი მექნება ნინო ბურჯანაძეზე, ზურაბ ნოღაიდელზე და გიორგი გოგოლაშვილზეო“. მკითხველი, ალბათ ამასაც გაიკვირვებს: წერილში ხუთადხუთი სიტყვაა თქმული ზ. ნოღაიდელზე; რამდენიმე აბზაცი — ნ. ბურჯანაძეზე და სამჯერ მეტი — გოგოლაშვილზე. რით დაიმსახურა ავტორის ასეთი ყურადღება „პოლიტიკოსმა“ გოგოლაშვილმა? საერთოდ ქართულ სინამდვილეში არსებობს ასეთი პოლიტიკოსი, ვის „ჩაძირვასაც“ ასე მონდომებით ცდილობს ფოცხიშვილი? მინდა, იმედი გავუცრუო: ამაოდ დაშვერით, ბატონო პროფესორო, მე არა ვარ პოლიტიკოსი, არც პრეტენზია მაქვს და არც სურვილი ამისა!.. ეს, რა თქმა უნდა, იცის ფოცხიშვილმაც; მაშინ რატომ ცდილობს ჩემს გაპოლიტიკოსებას?***

# მე კამათი არ მინდოდა...

## პასუხი ალექსანდრე ფოცხიშვილს

საქმე სულ სხვა რამ არის: მე **შევეცადე მეჩვენებინა**, რომ **ა. ფოცხიშვილის წიგნი „ქართული ენათმეცნიერების ისტორია“ არ არის სანდო, ავტორი აყალბებს ფაქტებს, გამიზნულად შეჰყავს შეცდომაში მკითხველი; მისი ბრალდებები ქართული ენათმეცნიერების კლასიკოსებისადმი და ენათმეცნიერების ინსტიტუტისადმი ცილისწამებაა მხოლოდ...** (იხ.: გ.გოგოლაშვილი, „ენციკლოპედია „ქართული ენა“ მტერ-მოყვრის თვალით“: საენათმეცნიერო ძიებანი, XXVII, 2008. იგივე (საგაზეთო ვარიანტი: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 15 აგვისტო, 2008 წ. სხვა შემთხვევაში **შევეცადე, დამემტკიცებინა, რომ მისი მეცნიერული „აღმოჩენა“ თვითაღიარებულია მხოლოდ** (იხ.: საენათმეცნიერო ძიებანი, XXVIII, 2009წ. ყოველივე ამის გამო მან სამი წერილი „მიძღვნა“ მე, მაგრამ ჩემ მიერ დასმულ არც ერთ კითხვაზე პასუხი არ გაუცია; არც ერთი კონკრეტული ბრალდების უარყოფა არ უცდია (რომ ჰქონოდა რაიმე არგუმენტი, ცხადია, უკან არ დაიხევდა...წ. ჰოდა, გადაწყვიტა, **ჯერ დააჯეროს საზოგადოება ჩემს პოლიტიკოსობაში და მერე თქვას, პოლიტიკოსი მაკრიტიკებს და არა პროფესიონალი ენათმეცნიერიო...** სხვაგვარად ვერ აიხსნება, რატომაა ასე მონდომებული, გამომაცხადოს პოლიტიკოსად...

გულწრფელად ვაღიარებ: მე წმინდა მეცნიერული ინტერესი მამოძრავებდა, როცა ა. ფოცხიშვილზე ვწერდი; იმის პიროზასაც ვიძლევი, ამგვარ საკითხებზე კვლავაც დავწერ, თუკი ამას საჭიროდ ჩავთვლი; სხვა მე არ მაინტერესებს. არც უნდა მაინტერესებდეს: რა ჩემი საქმეა, ვინ რატომ გააგდეს პედინსტიტუტიდან; ვინ რატომ ჩასვეს ციხეში; ვინ რატომ არ მიიღეს ენათმეცნიერების ინსტიტუტში თუ უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრაზე; რა შუაში იყო ზნეობა, როცა ეს საკითხები წყდებოდა... არც მაინტერესებს... მე ერთი რიგითი ენათმეცნიერი ვარ... უბრალო კაცი...

* * *

**„როდემდე გაგრძელდეს ასე?“** კითხულობს აღშფოთებული ფოცხიშვილი და ჩემს დასჯას ითხოვს... აქ ორმაგი „ჩაშვების“ კლასიკურ მაგალითს გვთავაზობს ფოცხიშვილი. იგი წერს:

„ბოლო ხანებში ტელევიზიით ხშირად გვიჩვენებენ საინტერესო კლიპს, რომელშიც მონაწილენიც (თანაც სხვადასხვა ენაზე) პრეზიდენტისაგან მოითხოვენ გადადგომას. ყველანი, როგორც წესი, ერთნაირად ამბობენ: „– მიშა, წადი!“ მხოლოდ ერთი მიმართავს: „ბატონო მიხეილ (უნდა იყოს. მიხეილ ბატონო – **გ.გ.**წ, წაბრძანდით“. ვითომ ნამდვილად ასე ფიქრობს გ.გოგოლაშვილი, როცა თვითმარქვია პრეზიდენტს ბატონობითა და წაბრძანების მოთხოვნით მიმართავს? არა ბატონებო! იგი თადარიგს იჭერს. ვინიცობაა, პრეზიდენტი გადარჩეს, თავისი ადგილი შეინარჩუნოს, გოგოლაშვილს სათქმელი ჰქონდეს: „მაიძულეს, თქვენი გაადგომა მომეთხოვა და რა მექნა? სამაგიეროდ ყველაფერი გავაკეთე, თქვენთვის შეურაცხყოფა არ მომეყენებინა, რაც იმის მამტკიცებელია, რომ ჩემი იმედი უნდა გქონდეთ!“

ორმაგი „ჩაშვებაა“-მეთქი: ხელისუფლებას ეუბნება, ნახეთ, ოპოზიციის გვერდით დგასო; ოპოზიციას ეუბნება, არ ენდოთ გოგოლაშვილს, თვალი პრეზიდენტისკენ უჭირავსო...

რა ქნას კაცმა, არ ასვენებს „ცოდნა და გამოცდილება“!

როგორც ჩანს, ფოცხიშვილმა არ იცის, რომ მე თადარიგის ოფიცერი ვარ, თორემ მუხროვანის ამბებში მონაწილეობასაც დამაბრალებდა...

ისევ კლიპი რომ გავიხსენოთ: ფოცხიშვილის აზრით, გოგოლაშვილი რომ **ბატონობით** მიმართავს და ამბობს **წაბრძანდითო**, ამით მხარს უჭერს სააკაშვილსო... რა გამოდის, თქვენობით თუ მიმართავ კაცს და შეაგინებ, შეურაცხყოფა არ იქნება? მე რომ ასეთი რამ ვაკადრო: „ბატონო პროფესორო, თქვენ უსინდისო ბრძანდებით“, – ეს არ იქნება შეურაცხყოფა? ის კი თვლის, არაო, მაგრამ მე არ ვფიქრობ ამგვარად და ამიტომ ასეთ რამეს მაინც არ ვეტყვი, როგორც არ უნდა მაიძულოს ფოცხიშვილმა...

* * *

კიდევ ერთი საინტერესო „აღმოჩენა“ ფოცხიშვილისა: ჰყვება უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის ისტორიას; მიანიშნებს კათედრის დამაარსებლისა და პირველი გამგის – დიდი აკაკი შანიძის – ღვაწლზე; კათედრის მომდევნო გამგეების პროფ. კ. დანელიასა და პროფ. ზ. სარჯველაძის დამსახურებაზე და განაგრძობს: **„კათედრა დარჩა გიორგი გოგოლაშვილს, ვისაც არასდროს არც უშუალოდ, არც წერილობით შეხება არ ჰქონია ეროვნულ მოძრაობასთან და არც მოძრაობის შედეგად მიღებულ წყობასთან“.**

რა გაიგეთ, პატივცემულო მკითხველო? კათედრის გამგეობა ჯილდოა ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობისათვის? ანდა „ეროვნული მოძრაობის შედეგად მიღებულ წყობასთან“ თანამშრომლობისათვის? ა. შანიძე, კ. დანელია და ზ. სარჯველაძე ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობის გამო იყვნენ კათედრის გამგეები?.. გოგოლაშვილი თუ ასეთი ტრადიციების კათედრის გამგედ აირჩიეს, ეს გოგოლაშვილს ცუდად ახასიათებს?..

ისე, შევახსენებ ენათმეცნიერების „ისტორიკოსს“: გოგოლაშვილი კათედრის გამგედ რომ აირჩიეს, ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და ამდენივე კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილის (მათ შორის ცხრა წიგნისაც) ავტორი იყო... დარწმუნებული ვარ, ესეც იცის ფოცხიშვილმა, მაგრამ ასე სჭირდება მას და სიმართლეს რა მნიშვნელობა აქვსო...

* * *

სიცრუე, ფაქტების გაყალბება პროფესიულ ჩვევად ექცა ა. ფოცხიშვილს. მაგალითად: ორიოდე თვის წინათ მესაუბრა ტელეფონით, მკითხა და ავუხსენი, რომ კონკურსში მონაწილეობა არ მივიღეთ და პროტესტის ნიშნად 2006 წლის შემოდგომაზე დავტოვეთ უნივერსიტეტი; საუნივერსიტეტო მოძრაობა დავიწყეთ 2004 წელს, „საუნივერსიტეტო დარბაზი“ კი შევქმენით 2005 წელს; ეს ამბები იცის საზოგადოებამ, იცის ფოცხიშვილმაც. მაგრამ მან ხომ ტყუილი უნდა თქვას, ესაა მისი კოზირი: გოგოლაშვილმა ხმა მაშინ ამოიღო, „როცა ხუზუას „რეფორმა“ გ. გოგოლაშვილს პირადად შეეხო – იგი შემცირებაში მოჰყვა!“ გამოიგონებს ფაქტებს, იჯერებს (ან თითქოს იჯერებსძ თვითონ და აქცევს ბრალდებად... ამას აკეთებს კაცი, რომელიც წერს: „პატიოსნება და ობიექტურობა განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელიაო“... ანდა, „მეცნიერება უპირველეს ყოვლისა ჭეშმარიტების სამსახურს ნიშნავსო“... ისე, პროფესორმა და მეცნიერების „ისტორიკოსმა“კი უნდა იცოდეს უნივერსიტეტის უახლესი ისტორია; დაინტერესების შემთხვევაში ლიტერატურასაც კი მივუთითებდი...

* * *


როდემდე გაგრძელდეს ასე?

ჩვევა საოცარი რამ არის. იქ იჩენს თავს, სადაც არ გინდა... ტყუილის თქმა უკვე ჩვევაში გადაუვიდა ფოცხიშვილს. წერს, „ავტორიტეტების წინაშე ქედი არ მომიხრია. ენათმეცნიერებაში დაპირისპირება მომიხდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორებთან: არნ. ჩიქობავასთან და ბ. ჯორბენაძესთან“. ეამაყება და ტრაბახობს იმით, რომ ებრძოდა არნ. ჩიქობავას... მაგრამ ივიწყებს იმას, რომ არნ. ჩიქობავას სიცოცხლეში გამოსულ წიგნში („ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან“, 1979წ ჩიქობავას რამდენჯერმე იმოწმებს პატიოსნად, არავითარი დაპირისპირება; არნ. ჩიქობავას გარდაცვალების შემდეგ (არნ. ჩიქობავა გარდაიცვალა 1985 წელსძ გამოსული იმავე წიგნის ახალ რედაქციაში („ქართული ენათმეცნიერების ისტორია“, 1995წ უკადრებელი აკადრა... ამას მიიჩნევს გმირობის ტოლფას დაპირისპირებად!...

ასევე ითქმის ბ. ჯორბენაძეზეც: ა. ფოცხიშვილი თავგამოდებით ამტკიცებს, რომ ბ. ჯორბენაძე არ იცნობდაო იმ წიგნს, რომელშიც იგი „უპირისპირდებოდა“ ბ. ჯორბენაძეს, რადგან გამოიცა ბ. ჯორბენაძის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგო... და ამ „დაპირისპირებასაც“ გმირობად უთვლის თავის თავს და თავმომწონეობს: ავტორიტეტებს არ შევუშინებივარო... გარდაცვლილ ავტორიტეტებზეა საუბარი!... რა ქნას, საკუთარი თავის გმირად წარმოჩენის სურვილი კლავს და ამისთვის სჭირდება „ფაქტების“ გამოგონება... საერთოდ კი, რასაც იგი კადრულობს არნ. ჩიქობავასა და ბ. ჯორბენაძის მიმართ, საგაზეთო წერილებსა თუ თავის „ფუნდამენტურ“ (თავად უწოდებსძ წიგნში, ეს უკვე ზნეობისა და მორალის სფეროს განეკუთნება... სიტყვამ მოიტანა და შევახსენებ ა. ფოცხიშვილს, რომ არსებობს ასეთი ცნებებიც: ზნეობა, მორალი..

რაც შეეხება იმას, იცნობდა თუ არა ბ. ჯორბენაძე ფოცხიშვილის აზრს მის შესახებ წიგნის გამოცემამდე, ამის თაობაზე ერთხელ გავეცი პასუხი. გავიმეორებ: წიგნი 8 წელი გამომცემლობაში იდო (როგორც თავად ფოცხიშვილი წერსძ, სადაც ბ. ჯორბენაძის 10 წიგნი გამოიცა, სადაც ბ. ჯორბენაძის მეგობრები და მოწაფეები მუშაობდნენ; ამიტომ ფოცხიშვილის „ნააზრევი“ რომ მივიდოდა ბ. ჯორბენაძემდე, რატომაა დაუჯერებელი? რა ვქნა, ჩემი თუ არ სჯერა, მისივე სტილით რომ ვუპასუხო, ჰკითხოს ბ. ჯორბენაძეს...

* * *

ტყუილი რომ არ თქვას, არ შეუძლია... წერს: „ჩემს ორმოცდაათზე მეტ პოლემიკურ წერილს (იხ. მითითებული წიგნიძ ორიოდე გამოხმაურება მოჰყვაო“. ა. ფოცხიშვილი ასახელებს თავის წიგნს „წერილები“ (2008წ; არადა იმ წიგნში სულ 30 (ოცდაათიძ წერილია!...

ეს წვრილმანიაო, იქნებ მითხრან... გეთანხმებით, მაგრამ გამოხატულებაა ჩვევისა: წვრილმანსა თუ მსხვილმან საკითხებზე მსჯელობისას მისი ნდობა არ შეიძლება: ტყუის უსაშველოდ... ცრუ, გამოგონილი „ფაქტებით“ განადიდებს საკუთარ თავს და ამცირებს სხვას. ქართულ ენაში ძალიან ცუდი სახელები ჰქვია ამგვარ ქცევას... მე ამჯერად თავს შევიკავებ იმ სიტყვების დასახელებისგან...

* * *

საერთოდ კი, ფოცხიშვილი – თემაა ამოუწურავი. უპასუხოდ დავტოვე ერთი წერილი (წერილების წიგნში რომ დაბეჭდაძ, მეორე წერილი (გაზეთში რომ გამოქვეყნდაძ, ეს მესამე წერილია (რომელზეც ახლა ვსაუბრობძ... არადა, მართლაც, „მე კამათი არ მინდოდა“... და ძალიან მენანება ამ წერილის დაწერისას დახარჯული დრო...

**გიორგი გოგოლაშვილი**

ინფორმაცია

## სარკინიგზო ტერაქტი ზუგდიდში

**ზუგდიდის რკინიგზის სადგურზე ოთხშაბათ ღამით აფეთქება მოხდა.**




**როგორც „ინტერპრენიუსს“ შპს საქართველოს რკინიგზის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ განაცხადა, ზუგდიდის რკინიგზის სადგურზე, დაახლოებით, 24:00 საათზე სატვირთო ვაგონი აფეთქდა.**

**აფეთქების შედეგად დაშავდა რკინიგზის ერთი თანამშრომელი, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი. ეზუგბაიას განცხადებით, დაშავებულის მდგომარეობა ამ დროისთვის სტაბილურია.**

**აფეთქების შედეგად დაზიანდა სამგზავრო მატარებელიც, რომელსაც დილის 08:30 საათზე თბილისის მიმართულებით რეისი უნდა შეესრულებინა.**

**კიდევ ერთი აფეთქება უკვე მოგვიანებით, მას შემდეგ მოხდა, რაც შემთხვევის ადგილზე კრიმინალისტები მუშაობდნენ.**

**ირაკლი ეზუგბაიას ინფორმაციით, გაწმენდითი სამუშაობის დასრულების შემდეგ ზუგდიდი-თბილისის რეისი დაგვიანებით შესრულდება.**

**დაახლოებით ერთი კვირის წინათ აფეთქება მოხდა ინგირი-ხობის სარკინიგზო გადასარბენზე, რომელის დროსაც ლიანდაგის 12,5 კმ-იანი მონაკვეთი დაზიანდა.**

**02:50 საათზე აფეთქდა ზუგდიდის რაიონული შს სამმართველოს ენგურქაღალდკომბინატის პოლიციის ქვეგანყოფილების წინ მდგარი სატვირთო ავტომანქანა.**

**შს სამინისტრო მომხდარის შეფასებასაც აკეთებს და აცხადებს, რომ „აღნიშნული აფეთქებები განხორციელებულია მათ მიერ, ვისაც არ სურს, აღნიშნულ რეგიონში იყოს მშვიდობა და სტაბილურობა„**

**გამოძიებას აწარმოებს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო.**

ინტერპრესნიუსი

## ბიუჯეტის შევსება კახურად

**კახეთის საგადასახადო ინსპექციამ რეგიონში მომუშავე მცირე მეწარმეების მასობრივი დაჯარიმება დაიწყო.**

**როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან იტყობინებიან, საგადასახო ინსპექციის თანამშრომლები რეიდებს ორშაბათიდან ახორციელებენ და თითოეულ მაღაზიას არანაკლებ 500 ლარით აჯარიმებენ. დაჯარიმებულთა შორის არიან მცირე სასურსათო მაღაზიები, რომელთა თვიური ბრუნვაც ხუთას ლარს საერთოდ არ შეადგენს. მეწარმეთა თქმით, დაჯარიმების მიზანი ბიუჯეტის შევსებაა.**

**კახეთის საგადასახადო ინსპექციაში კომენტარს არ აკეთებენ.**

ჯი-ეიჩ-ენი

პროფესიის პრესტიჟი

***ბულგარეთის** დედაქალაქმა წლეულს მეთორმეტედ უმასპინძლა უმნიშვნელოვანეს არქიტექტურულ ფორუმს — არქიტექტურის მსოფლიო ტრიენალეს. ტრიენალე შეჯამებაა ბოლო სამი წლის განმავლობაში მსოფლიოს არქიტექტურული მიღწევებისა. საერთაშორისო ჟიური ავლენს საუკეთესო ნაწარმოებებს (პროექტი, რეალიზაცია), არქიტექტურულ წიგნებსა და ჟურნალებს, საუკეთესო საბაკალავრო და სამაგისტრო დიპლომებს.*

*არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსებიც ერთობლივი გამოფენით აბარებენ „ანგარიშს".*

*არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის ასამბლეაზე მონაწილეობის მისაღებად და ტრიენალეზე საავტორო გამოსვლისთვის ქ. სოფიაში მოწვეული იყო ამ აკადემიის აკადემიკოსი, სტუ-ს არქიტექტურული გეგმარების მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი **ვახტანგ დავითაია**.*



მალტელი არქიტექტორი რიჩარდ ინგლანდი (მარცხნიდან), ვახტანგ დავითაია, საფრანგეთის გმირი, საფრანგეთის არქიტექტურის აკადემიის ექსპრეზიდენტი ანრი დიუფიტელი.

# საერთაშორისო კონკურსი — პირველად უქართველებოდ!

## ხუროთმოძღვართა მსოფლიო ტრიენალე „ინტერარქ 2009" ქ. სოფიაში

**— ბატონო ვახტანგ, რა სიახლეებია მსოფლიო არქიტექტურაში, რითი იყო გამორჩეული XII არქიტექტურული ტრიენალე?**

— ცხრა ტრიენალეს მონაწილე ვარ, ადრე კონკურსებში ვღებულობდი მონაწილეობას, ორჯერ გავხდი ლაურეატი, ერთხელ პერსონალური გამოფენა მქონდა, ოთხჯერ საავტორო გამოსვლა. 1994 წელს ამირჩიეს არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად. მას შემდეგ ამ სტატუსით ვაგრძელებ საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობას. როგორც წესი, ტრიენალეს წინ უძღვის აკადემიის ასამბლეა. ასამბლეაზე ვისმენთ აკადემიის საბჭოს სამი წლის მუშაობის შედეგებს, ვამტკიცებთ ახალ სამუშაო პროგრამას, ვირჩევთ ახალ პროფესორებს და აკადემიკოსებს, ვანიჭებთ აკადემიის უმაღლეს ჯილდოს „ბროლის გლობუსს". წელს „გლობუსის" ლაურეატი გახდა გამოჩენილი კანადელი არქიტექტორი დონალდ კარდინალი. წინა ტრიენალეზე, 2006 წელს, ეს ჯილდო მიენიჭა ესპანელ არქიტექტორს სანტიაგო კალატრავას. აკადემიას შეემატა ექვსი ახალი წევრი: დანიელ ლიბესკინდი (გერმანია), ალვარო სიზა (პორტუგალია), პიტერ ეიზენმანი (აშშ), ანდრეი ბოკოვი (რუსეთი), დომენიკო პერო (საფრანგეთი), სტივენ ჰოლი (აშშ).

კმაყოფილი ვარ იმით, რომ სოფიის არქიტექტურული ასპარეზი, არენა, მიუხედავად ცნობილი სიძნელეებისა, ქართველმა არქიტექტორებმა არ დავკარგეთ. ტრიენალეს მუშაობაში მონაწილეობდნენ არქიტექტორები ნუკრი აბაშიძე, ბესო ტატიშვილი, სტუ-ს არქიტექტურის, ურბანიზმის და დიზაინის ფაკულტეტის, არქიტექტურული გეგმარების მიმართულების მაგისტრანტები ნინო პოტაპოვა და გელა ჩაჩუა.

ტრიენალეზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადიპლომო პროექტები იყო წარმოდგენილი: სამი საბაკალავრო და ერთი სამაგისტრო. **გელა ჩაჩუას საბაკალავრო პროექტმა — „ხელოვნების მუზეუმი" პრემია დაიმსახურა** (ხელმძღვანელები: ვ. ქოზულია, ნ. იმნაძე, გ. ყიფიანი). ჩვენი სტუდენტების პროექტებზე პროფესიონალთა აზრი უაღრესად მაღალი იყო, გვილოცავდნენ. ამერიკელმა პროფესორმა, აკადემიის საბჭოს წევრმა ბრაიან სპენსერმა ქართველ სტუდენტთა ოთხივე პროექტს სპეციალური პრემია მიანიჭა.

პროექტებისა და რეალიზაციის კონკურსზე კი 245 ობიექტი იყო წარმოდგენილი. ამ ტრიენალეს შეიძლება იტალიური ვუწოდოთ, მათ 40-მდე ობიექტები წარმოადგინეს და მასპინძლებსაც კი გაუსწრეს. ისევე, როგორც წინა ტრიენალეზე, ამჟამადაც საფრანგეთი იყო გამორჩეული რაოდენობითაც, ხარისხითაც, მათ 20 ობიექტი წარმოადგინეს. წელს შედარებით მოკრძალებული იყო რუსეთის მონაწილეობა — მათ 18 ობიექტი ქონდათ საკონკურსოდ გამოტანილი, მაგრამ მათი „არქიტექტურული აქცია" სხვა მხრივ იყო საყურადღებო, ორი დამოუკიდებელი გამოფენა მოაწყო იაკობ ჩერნიხოვის საერთაშორისო ფონდმა, **პირველი** — „არქიტექტურული სიახლეები" და **მეორე** — ახალგაზრდა არქიტექტორთა საერთაშორისო კონკურსის პროექტები, ორივე გამოფენა სოფიის ცენტრში იყო მოწყობილი. საინტერესო ფაქტია: შარშანწინ ანალოგიურ კონკურს-გამოფენაზე, რომლის ჟიურში არიან მსოფლიოს გამოჩენილი არქიტექტორები, საპრემიო ფონდი იყო 100 ათასი ევრო, ის განაწილდა 10 გამარჯვებულზე. წელს რეგლამენტი შეიცვალა და თანხა 50 ათასი ევრო გაიცა ერთ გამარჯვებულზე. ლაურეატი გახდა ახალგაზრდა იაპონელი არქიტექტორი იუნია იშიგამი.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი, — ჩვენ გვაჩვენეს სოფიის „ახალი ცენტრის" — ადმინისტრაციულ-სავაჭრო-კულტურული ცენტრის საერთაშორისო კონკურსის პროექტები. კონკურსი დაკვეთილი იყო, დაკვეთები მიიღეს ორმა ბულგარულმა და ოთხმა საზღვარგარეთულმა ჯგუფმა — მათ შორის იყვნენ თანამედროვეობის ისეთი მქუხარე სახელები, როგორიცაა ნორმან ფოსტერი (ინგლისი), ზაჰა ჰადიდი (ინგლისი), დომენიკო პერო (საფრანგეთი), მაქსიმილიანო ფუქსასი (იტალია). გაიმარჯვა პეროს პროექტმა. პროექტების დეტალურად განხილვა ღრმა ჩაჯდომას ითხოვს, ზოგადად კი შემიძლია ვთქვა, მათში ბევრი რამ იყო სადავო. აქვე მინდა ხაზი გავუსვა ერთ ფაქტს, თუმცა არა ვარ დარწმუნებული, ეს „ფაქტი" რაიმე გავლენას იქონიებს ჩვენს ინვესტორებზე. კონკურსის ყველა მონაწილეს გადაუხადეს ას-ასი ათასი ევრო, ანუ 500 ათასი ევრო, დაახლოებით ამდენივე დაიხარჯა კონკურსის ორგანიზაციაზე. ეს მაგალითები — ახალგაზრდა არქიტექტორთა, ასევე „ახალი სოფიის" კონკურსები მიანიშნებენ, თუ რა ფასი აქვს ინტელექტუალურ შრომას, როგორია ევროპული სტანდარტები, რა უიმედოდ შორსაა ქართული ცნობიერება ამ სტანდარტებისგან. საქართველოში კი, მიუხედავად არაერთი მძაფრი კრიტიკული პუბლიკაციისა, კვლავ „მძინვარებს" ქართული ორიგინალური ექსკლუზივი — არქიტექტურული ტენდერი, ანუ შეჯიბრი იაფ დამპროექტებელზე, იაფ შემოქმედებაზე, „იაფად მგალობელ ბულბულზე", ვერა და ვერ მიიპყრო ეკონომიკის სამინისტროს მაღალი ყურადღება, რომელიც დღეს არქიტექტურის კურატორიცაა. **დროა ცვლილებები შევიდეს სატენდერო წესებში და შემოქმედებითი შრომა არ გაუთანაბრდეს საყოფაცხოვრებო ნივთების შესყიდვის წესებს.**

დავუბრუნდეთ პროექტებისა და რეალიზაციის კონკურსს. ჟიურიმ, წესდების შესაბამისად, მიანიჭა ერთი „გრანპრი", ტრიენალეს ოქროს მედლით და სამი პირველი პრემია, ოქროს მედლით. „გრანპრის" მფლობელი გახდნენ ფრანგი არქიტექტორები ალექსანდრიის წყალქვეშა არქეოლოგიური მუზეუმისთვის, პირველი პრემიები მიიღეს იტალიელმა, ბულგარელმა და ავსტრიელმა ხუროთმოძღვრებმა. გაიცა 28 სახელობითი პრემია.

**— მახსოვს, VIII და IX ტრიენალეებზე, 1997 და 2000 წელს დაწესებული იყო თბილისის პრემია, ეს პრესტიჟის საქმე გახლდათ. დიდ თავყრილობაზე თბილისის ყოფნა საპატიოა. რატომ არ გაგრძელდა ეს ტრადიცია?**

— 1997 წელს, VIII ტრიენალეზე, მერიამ საპრემიო თანხის გამოყოფა ვერ მოახერხა, ამიტომ გამარჯვებულთა — ბულგარელ არქიტექტორთა დაჯილდოება თბილისიდან წამოღებული წიგნებითა და მაღალი ტრიბუნებიდან ავტორების ერთი კვირით საქართველოში მოწვევით შემოვიფარგლეთ. ამ მოწვევით გამარჯვებულებს არ უსარგებლიათ. IX ტრიენალეზე, 2000 წელს თბილისის პრემიის ლაურეატი გახდა გამოჩენილი მალტელი არქიტექტორი რიჩარდ ინგლანდი. შემდეგ განაცხადი თბილისის მერიას არ გაუკეთებია. იოლია თქმა „თბილისის პრემია", მაგრამ მთელი რიგი ბიუროკრატიული ბარიერების გადალახვა მომიხდა პირადად მე, როგორც იმ პერიოდში არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარეს. ჩვენთვის ეს ახალი ამბავი იყო, საპრემიო თანხის გადარიცხვაც ვერ მოხერხდა, ამიტომ თანხა „ხელზე" წავიღე, ისიც ბოლო წუთებში გადმომცეს, მიღება-ჩაბარების აქტზე პირადად აკადემიის პრეზიდენტს გიორგი სტოილოვს მოვაწერინე ხელი, რა თქმა უნდა, ეს უსიამოვნო პროცედურა იყო.

**— ახლა რა უშლის ხელს, რომ ეს საჭირო საქმე აღდგეს?**

— ახლა სხვა სახის სირთულეებია, იმ დროს მერთან, მის მოადგილეებთან, მერიის განყოფილებების გამგეებთან შეხვედრა და წინადადების მიტანა არ იყო რთული. მართალია, მათი ფინანსური შესაძლებლობები მნიშვნელოვნად მწირი იყო. დღეს, არა თუ მერთან და მოადგილეებთან „გასაუბრებაა" სერიოზული პრობლემა, არამედ არქიტექტურის სამსახურის რიგით თანამშრომლებთან ტელეფონით საუბარიც შეუძლებელია, როგორც ამბობენ აკრძალული აქვთ, ტელეფონი თურმე კორუფციის წყარო ყოფილა. ბატონო სპარტაკ, შემიძლია მოგცეთ მერიის არქიტექტურის სამსახურის 10-15 თანამშრომლის მობილური ტელეფონი, დარეკეთ, არავინ გიპასუხებთ, ასეთ პირობებში რაიმე ინიციატივაზე ლაპარაკი ზედმეტია. დავიღალე ელემენტალურ საქმეზე „სისხლის უკანასკნელ წვეთამდე" ბრძოლით.

**— როგორ ჩატარდა საავტორო გამოსვლები — ტრიენალეს უმთავრესი ღონისძიება?**

— საავტორო გამოსვლები ტრიენალეს ერთ-ერთი მთავარი მოვლენაა. ოთხი დღის განმავლობაში 25-მდე საავტორო გამოსვლა იყო. გამოვყოფ მანფრედი ნიკოლეტის (იტალია), რიჩარდ ინგლანდის (მალტა), იური პლატონოვის (რუსეთი), გიორგი სტოილოვის (ბულგარეთი), დომენიკ პეროს (საფრანგეთი), ალვარო სიზას (პორტუგალია), იუჰან პალლასმას (ფინეთი), თეოდორე გონსალეს დე-ლეონის (მექსიკა), დენის შარპის (ინგლისი), იუსტუს დაჰინდენის (შვეიცარია), პაოლო კუჩის (მალაიზია), თომას ჰერცოგის (გერმანია), ბრაიან სპენსერის (აშშ) საავტორო გამოსვლებს.

ჩემი გამოსვლა, ფაქტობრივად, ბოლო წიგნის **„პროცესის"** პრეზენტაცია იყო. ესაა წიგნი შემოქმედებით პროცესზე — იდეიდან პროექტამდე. ჩვენებას თან ახლდა „ცისფერი ტრიოს" საოცარი მუსიკალური ფონი. დარბაზის რეაქციით თუ ვიმსჯელებთ, „ჩვენება" შედგა...



ქართული დელეგაცია სოფიაში — (მარცხნიდან): გელა ჩაჩუა, ვახტანგ დავითაია, ნინო პოტაპოვა, ნუკრი აბაშიძე, ზის ბესო ტატიშვილი.

**— როგორი იყო წელს პოსტსაბჭოთა ქვეყნების მონაწილეობა, რა აწუხებთ მათ, რამდენად მსგავსია ეს პრობლემები ქართული არქიტექტურის დღევანდელ პრობლემებთან?**

— ყაზახეთმა წარმოადგინა 7 ობიექტი, ბელორუსიამ — 4, დანარჩენმა პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა — 2-3 ობიექტი. **საქართველომ არც ერთი! რაც დიდად სამწუხაროა და მიანიშნებს ქართული არქიტექტურის ღრმა კრიზისზე, მისი პროფესიული და ინტელექტუალური შესაძლებლობების უგულებელყოფაზე. ეს პირველი შემთხვევაა სოფიის ბიენალე-ტრიენალების 37-წლოვან ისტორიაში, როდესაც ქართველ არქიტექტორებს კონკურსში მონაწილეობა არ მიუღიათ.**ან რა უნდა წარვადგინოთ, ამხანაგობების საცხოვრებელი სახლები? ყველა პრესტიჟული, მნიშვნელოვანი ობიექტი ხომ უცხოელ არქიტექტორთა ხელშია. რაც შეეხება კითხვას, რამდენად მსგავსია საქართველოს და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების არქიტექტურული პრობლემები, ეს მეც ძალიან მაინტერესებდა. არის გარკვეული მსგავსება და არის განსხვავებაც. განსხვავება ისაა, რომ ყველა საბიუჯეტო, ასევე, კერძო მნიშვნელოვანი ობიექტების დაკვეთა ხდება კონკურსების გზით, მხოლოდ კონკურსების გზით იღებენ დაკვეთებს უცხოელი არქიტექტორებიც და არა ჩინოვნიკების ნებით, როგორც საქართველოში. ქალაქმშენებლობითი პრობლემები იმართება გენერალური გეგმებით, გენგეგმა განსაზღვრავს ყველა მნიშვნელოვან პარამეტრებს, ყველგან შენარჩუნებულია გენგეგმის ინსტიტუტები და არქიტექტურულ-სამშენებლო პროცესის მართვის ორგანოები, პროცესი იმართება ერთიანი სისტემით.

**— ერთი დელიკატური კითხვაც: როგორი იყო შეხვედრა რუს კოლეგებთან აგვისტოს ომის და მის შემდეგ უკიდურესად გამწვავებული რუსულ-ქართული ურთიერთობის ფონზე?**

— მართალი გითხრათ, ძალიან ვღელავდი, ვერ წარმომედგინა, როგორი იქნებოდა ჩვენი შეხვედრა. აგვისტოს შემდეგ არავითარი კონტაქტი არ ყოფილა, გარდა რამდენიმე ოფიციალური საინფორმაციო წერილისა აკადემიებიდან. 1989 წლის 9 აპრილს ადამიანებს შორის, ქართველ და რუს ხალხებს შორის ურთიერთობებზე უარყოფითი გავლენა თითქოს არ მოუხდენია — ის საბჭოთა ჯარს და რუს გენერალ როდიონოვს დაბრალდა, აგვისტოს ომი და შემდგომი აქციები რუსეთის სახელმწიფოს „შემოქმედებაა", რაც მთავარია — სისასტიკითა და სიძულვილით უპრეცედენტო. შეიძლება ვცდები, მაგრამ მგონია, რომ აგვისტოს ამბებმა ჩვენს ხალხებს შორისაც გააჩინა ნაპრალი. მახსოვს, 9 აპრილის შემდეგ, სულ რამდენიმე დღეში იური პლატონოვი, სსრკ-ს არქიტექტორთა კავშირის იმჟამინდელი თავმჯდომარე, სამძიმრისთვის ჩამოვიდა თბილისში და სამი დღის განმავლობაში ქართველ არქიტექტორებთან ერთად ყველა სამგლოვიარო ღონისძიებას ესწრებოდა. თვალცრემლიანი დიდხანს იდგა სიონის ეზოში გამოფენილ დაღუპულთა ფოტოებთან. სოფიაში რუს კოლეგებს 18 მაისს დილით, აკადემიის სესიაზე შევხვდი. შეხვედრა ბუნებრივი და გულთბილი იყო, დაძაბულობა მომეხსნა, ალბათ იმათაც. როგორც ჩანს, ადამიანური ურთიერთობები გაცილებით მყარია და მაღლა დგას პოლიტიკური ავანტიურებზე. ცხადია, ჩვენ გვქონდა საუბრები მძიმე თემებზე. სამწუხაროდ, ბევრი რამ არ იციან. იმათი ინფორმაცია ძირითადად რუსეთის ოფიციალურ წყაროებს ეყრდნობა...

**— ბატონო ვახტანგ, გულისტკივილით ბრძანეთ ქართული არქიტექტურის უსაშველო გასაჭირზე, ღრმა კრიზისზე. გეშველებათ რამე?**

— არა, ვიდრე ასეთი თავკერძა, უპასუხისმგებლო, არაეროვნული ხელისუფლება გვეყოლება, ქართული არქიტექტურა მუდამდღე ჩიხში იქნება. ლაპარაკს აზრი არა აქვს. მაინც არავინ გვისმენს!..

ესაუბრა
**სპარტაკ ქოზულია**

№ 116. პარასკევი, 12 ივნისი, 2009 წელი.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რა შეიძლება მოჰყვეს საქართველოს დსთ-დან გამოსვლას

**საქართველოს იმედი აქვს, რომ შეინარჩუნებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ-ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმს მას შემდეგ, რაც 18 აგვისტოს მოხდება მისი გამოსვლა ამ ორგანიზაციიდან. თუ მხედველობაში მივიღებთ მის წინდაუხედავ სამხედრო შეჯახებას რუსეთთან შარშან აგვისტოში, შეიძლება ეს იმედი უნაყოფო აღმოჩნდეს, ვინაიდან კონფრონტაციამ კავკასიის სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს აზერბაიჯანსა და სომხეთს შეახსენა იმის შესახებ, რომ მოსკოვს განზრახული აქვს, დაიცვას თავისი, დიმიტრი მედვედევის სიტყვებით რომ ვთქვათ, „პრივილეგირებული ინტერესები“ პოსტსაბჭოთა სივრცეში.**

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დაჟინებითი სწრაფვა ნატოსკენ იწვევს სულ უფრო და უფრო მეტ გამწვავებას ურთიერთობისა ვაშინგტონს, ბრიუსელსა და მოსკოვს შორის, ვინაიდან კრემლს არაერთგზის განუცხადებია, რომ არც საქართველო, არც უკრაინა არ უნდა გახდნენ ალიანსის წევრები. მოსკოვის შიში კავკასიის ფლანგიდან წასვლის შესახებ გაძლიერდა ნატოს სწავლებით, რომელიც გაიმართა საქართველოს სამხედრო ბაზაზე ვაზიანში 21 მაისიდან 1 ივნისამდე ნატოს წევრი 13 ქვეყნისა და საქართველოს სამხედრო მოსამსახურეთა მონაწილეობით, რომელთა საერთო რიცხვი დაახლოებით 700 იყო.

დასავლეთს არ შეუძლია თავს მისცეს იმის ნება, რომ გვაჩვენოს თავი, თითქოს არ არის დაინტერესებული ამ ვითარებით, ვინაიდან მისი ძალისხმევის გვირგვინია კასპიის ნავთობის ექსპორტის მოწესრიგება დასავლეთის მიმართულებით – 2006 წლის მაისში გაიხსნა ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, რომლის სიგრძეა 1092 მილი, ხოლო გამტარუნარიანობა 1 მილიონი ბარელი დღეში და ღირებულება 3,6 მილიონი დოლარი – იგი აწარმოებს აზერბაიჯანის ნედლი ნავთობის ტრანსპორტირებას აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის საბადოდან თურქეთის ტერმინალ ჯეიჰანში შავი ზღვის პირას, ჰკვეთს საქართველოს სტერიტორიის 155 მილს და მოიცავს მარშრუტის ორ ტუმბო სადგურს რვიდან.



როგორც საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსს“ აცნობეს 8 ივნისს, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მარინა მაჭავარიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ საქართველოს თანამეგობრობიდან გამოსვლა მიზნად ისახავს დსთ-ქვეყნებთან ამჟამად მოქმედი თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შენარჩუნებას. იგი მიუთითებდა, რომ დსთ-ს ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობისთვის დიდი დრამატული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს ამ ფაქტს, ვინაიდან არსებობს საერთაშორისო ნორმები, რომლებიც საშუალებას აძლევენ საქართველოს თავისუფლად გამოიყენოს საქონლის თავისუფალი გადაადგილება გარკვეულ ქვეყნებთან: „დღეისთვის საქართველომ უკვე გააფორმა ორმხრივი შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დსთ-ს 8 ქვეყანასთან. ამავე დროს აზერბაიჯანთან და უკრაინასთან, როგორც სუამის (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) წევრ-ქვეყნებთან საქართველოს გაფორმებული აქვს შეთანხმებანი თავისუფალი ეკონომიკური ზონის შესახებ“. მაჭავარიანმა ამავე დროს დაუმატა, რომ ამ ორ ქვეყანაზე მოდის საქართველოს მთელი ექსპორტის 65 პროცენტი.

მაჭავარიანის ოპტიმიზმს არეტუშირებს ის ფაქტი, რომ უკრაინის რუსეთთან ურთიერთობებში არსებობს არსებითი პრობლემები, რომელთა შესაბამისადაც კიევს არ შეუძლია სრული სახით შეასრულოს თავისი ვალდებულებანი თბილისის წინაშე. იანვრის დასაწყისში უკრაინამ განიცადა მოკლე „გაზსადენის ომი“ რუსეთთან, რომელმაც აიძულა ვიქტორ იუშჩენკოს მთავრობა, წასულიყო დამამცირებელ დათმობებზე ტარიფთან დაკავშირებით. კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ართულებს რუსეთ-უკრაინის ურთიერთობას, არის სევასტოპოლის სტატუსი, შესანიშნავი ბუნებრივი ნავსადგურისა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე, რომელიც ამჟამად ემსახურება უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალებს და რუსეთის შავი ზღვის ფლოტს. დაბოლოს, იუშჩენკოს ადმინისტრაცია თავგამოდებით იბრძვის პოლიტიკური გადარჩენისთვის – ზოგიერთი ამასწინანდელი გამოკითხვის მონაცემებით, მისი რეიტინგი სულ რაღაც 5 პროცენტს შეადგენს. ერთი სიტყვით, ყოველივე ეს ძნელად რომ უბიძგებს უკრაინას, რათა უფრო მეტად დაუპირისპირდეს რუსეთს, როდესაც აფართოებს თავის კონტაქტებს საქართველოსთან დსთ-დან მისი გამოსვლის შემდეგ, ორგანიზაციიდან, რომელშიც უკრაინა ძველებურად რჩება.

აზერბაიჯანის ურთიერთობა თბილისთან ასევე ძალიან შორს არის იდეალურისგან, მიუხედავად იმისა, რომ ორი ქვეყანა ერთმანეთთან დაკავშირებულია ნავთობის საკითხით. რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფრონტაციამ გამოიწვია არსებითი „ირიბი ზარალი“ აზერბაიჯანიდან ნავთობის ექსპორტისთვის, ვინაიდან გადაიკეტა მისი დასავლეთისკენ მიმავალი მარშრუტები.

2008 წლის აგვისტოში, საქართველოსა და რუსეთს შორის საბრძოლო მოქმედებათა დაწყებამდე ხუთი დღით ადრე მოხდა ბაქო-თბილსი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მონაკვეთზე სოფელ იუტბაში თურქეთის აღმოსავლეთით, აფეთქება, რომლის მიზეზიც ჯერჯერობით უცნობია. თავდაპირველად ანკარა ეჭვობდა, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო ქურთი სეპარატისტების ან ქურთისტანის მუშათა პარტიის ტერაქტი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ოპერატორმა გამოაცხადა ფორს-მაჟორული ვითარების წარმოქმნის შესახებ და ნავთობსადენის მუშაობა განახლდა მხოლოდ 25 აგვისტოს.

ალტერნატიული მარშრუტის ძიებაში ნავთობსადენი გადაერთო ამას წინათ გახსნილ ნავთობსადენ ბაქო-სუფსაზე, რომლის სიგრძეა 550 მილი და გამტარუნარიანობა 140 ათასი ბარელი დღეში. იგი გაიხსნა 1999 წელს და მისი გამტარუნარიანობა შეადგენდა დაახლოებით 90 ათას ბარელს დღეში. სამხედრო კონფლიქტის ესკალაციის პირობებში 12 აგვისტოს კონცერნმა გამოაცხადა მიწოდების შეწყვეტის შესახებ ნავთობსადენ ბაქო-სუფსის მეშვეობით, აგრეთვე სამხრეთ კავკასიის ნავთობსადენის მეშვეობით, რომლითაც გაზი ბაქოდან მიეწოდება თურქეთს თბილისის გავლით. ნავთობის ექსპორტი აზერბაიჯანიდან საბოლოოდ დაბლოკეს მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ გადაწყვიტა საბრძოლო მოქმედებასთან დაკავშირებით შეეჩერებინა მიწოდება ბათუმიდან და ფოთიდან, სადაც ნავთობი შემოდიოდა რკინიგზით. ფოთის ნავსადგური დაიკეტა 8 აგვისტოს – როგორც იტყობინებიან, რუსეთის ავიადარტყმების შემდეგ. ამას გარდა ხელისუფლებამ შეწყვიტა ექსპორტი ყულევიდან, საქართველოს მესამე ნავთობჩამოსასხმელი ტერმინალიდან შავ ზღვაზე, რომელიც გაიხსნა 2007 წელს და რომლის გამტარუნარიანობაც 200 ათასი ბარელია დღეში.

აზერბაიჯანისთვის კონფლიქტი იყო ნამდვილი ფინანსური უბედურება, ვინაიდან ნავთობის სექტორზე მოდის მთავრობის შემოსავლის თითქმის ნახევარი, ხოლო ნავთობის ექსპორტი უზრუნველყოფს ყველა საექსპორტო შემოსავლის დაახლოებით 90 პროცენტს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე აფეთქებასა და სამხედრო კონფლიქტს შორის პერიოდში, აზერბაიჯანს არ შეეძლო ეწარმოებინა დაახლოებით 17 მილიონი ბარელი ნედლეული ნავთობის ექსპორტი, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის სამინისტროს შეფასებით, აზერბაიჯანის ზარალმა მთლიანად 1 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.

კონფრონტაცია დიდი ზარალი გამოდგა საქართველოსთვისაც: 2007 წელს ნავთობის ტრანზიტისთვის საბაჟოს შემოსავალი მას აძლევდა 25,4 მილიონ დოლარს, ხოლო კონფლიქტის დაწყებამდე სააკაშვილის მთავრობას იმედი ჰქონდა 2008 წელს მიეღო დაახლოებით 45 მილიონი დოლარი ტრანზიტის საფასურად.

ამრიგად, დსთ-ს ქვეყნებს ეძლევათ მკაფიო არჩევანი: გააგრძელონ ურთიერთობანი საქართველოსთან 18 აგვისტოს შემდეგ ისე, თითქოს არაფერი მომხდარიყოს და ამით ულიარებლად დაეჭირათ მხარი თბილისის კონფრონტაციული პოზიციისთვის მოსკოვთან დაკავშირებით, რითაც გამოიწვევდნენ რუსეთის რისხვას, ან აღიარონ მედვედევისეული „პრივილეგირებული ინტერესები“ კავკასიაში. თუმცა, მსოფლიოს ამ ნაწილში ძალიან ბევრი რამე გაურკვეველია: შარშანდელმა სამხედრო შეჯახებამ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ბევრი საფიქრალი გაუჩინა იმის შესახებ, თუ რა მოხდება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, რომლებიც უგულებელყოფენ მოსკოვის შეშფოთებას და ძალიან შორს მიდიან დასავლეთთან ურთიერთობაში. მაშასადამე, ძნელია იმის ვარაუდი, რომ დსთ-ს ქვეყნები მოინდომებენ, მიბაძონ სააკაშვილის მაგალითს ან „აწარმოონ საქმე, როგორც ჩვეულებრივად“, თუ თბილისი არ შეძლებს მანამდე გააუმჯობესოს ურთიერთობა კრემლთან.

ჯონ დეილი

UPI

# დედამიწის ზურგზე

**იაპონიამ მოიწონა ანტირუსული კანონპროექტი, რომელიც მოითხოვს ტოკიოსთვის სამხრეთ კურილიის კუნძულების დაბრუნებას**



კანონპროექტი მიზნად ისახავს გაააქტიუროს საერთო ეროვნული მოძრაობა და ხელი შეუწყოს იაპონიისთვის კურილიის ოთხი კუნძულის სასწრაფოდ დაბრუნებას იაპონიისთვის, რომლებსაც ტოკიო მიიჩნევს რუსეთისგან ოკუპირებულად. დოკუმენტი შეიძლება ძალაში შევიდეს უკვე ივლისის ბოლომდე.

**პირველი „გეი-პარადი“ ჩინეთში: რეკლამის და ჩინელების გარეშე და პარადის გარეშეც**



„გეი-პარადის“ ერთკვირიანი ფესტივალი მიმდინარეობს შანხაიში, სადაც გეიებისადმი ერთობ მიმტევებლები არიან. აქციაში მონაწილეობას ძირითადად უცხოელები ღებულობენ. ჩინეთში 30 მილიონი ჰომოსექსუალისტია, მაგრამ 1997 წლამდე ჰომოსექსუალიზმი აქ სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა.

**თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო: ცივი ომი ანკარასა და ერევანს შორის დამთავრდა**

თურქეთის მინისტრის ახმეტ დავუთოღლუს აზრით, ურთიერთობაში თურქეთსა და სომხეთს შორის უკვე აღარ არის მტრის ცნება. ანკარა გამოდის მეზობელ სომხეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისთვის, განაცხადა მან.

**ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული არ აქვს უზბეკეთში ბაზის გახსნა**



ამის შესახებ განაცხადა პენტაგონის პრესსამსახურის წარმომადგენელმა. მისი სიტყვებით, იქ უკვე ორი თვეა არ განუხილავთ ეს საკითხი. წინა დღით ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ყაზახეთში რიჩარდ ჰოუგლანდმა განაცხადა, რომ ამერიკას არ აქვს განზრახული სამხედრო ბაზის გახსნა უზბეკეთში.

**ირანის პრეზიდენტმა თავის მეტოქეებს წინასაარჩევნო ბრძოლაში ბრალი დასდო „ჰიტლერულ მეთოდებში“**



ხუთშაბათს, 12 ივნისის არჩევნების წინ, აკრძალულია ნებისმიერი აგიტაცია. პრეზიდენტის პოსტზე პრეტენზიას აცხადებს 4 კანდიდატი: მახმუდ ახმადინეჟადი, რომელიც მეორედ იყრის კენჭს, ყოფილი პრემიერ-მინისტრი მირ ხოსეინ მუსავი, პარლამენტის ექსსპიკერი მეხდი კიარუბი და კორპუს „ისლამის რევოლუციის მცველების“ ყოფილი სარდალი მოხსენ რეზაი.

**კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასა და სამხრეთ კორეას შორის ახალი გამწვავების ფონზე გაიმართა მოლაპარაკება: ისაუბრეს საათზე ცოტა ნაკლები ხნის განმავლობაში**



ჩრდილოეთ კორეის კესონში დაგეგმილი იყო განეხილათ ერთობლივი სამრეწველო კომპლექსის მუშაობა და სამხრეთ კორეელი დაპატიმრებული სპეციალისტის ბედის შესახებ. დიალოგი შეწყდა უკვე 50 წუთის შემდეგ. მოლაპარაკება შეიძლება განახლდეს, მაგრამ შედეგები მას კვლავ არ იქნება.

**ამერიკელმა ასტრონომებმა ირმის ნახტომის ცენტრში აღმოაჩინეს სამი ახლად დაბადებული ვარსკვლავი**



ახლად აღმოჩენილი „ახალგაზრდა ვარსკვლავური ობიექტების“ ასაკი შეადგენს ერთ მილიონ წელზე ნაკლებს. მათ გარს აკრავთ მტვრისა და გაზის ღრუბლები, რომლებიც მომავალში გადაიქცევიან დისკებად, საიდანაც წარმოიქმნება პლანეტები, მიაჩნიათ მკვლევარებს.

**პოეზიის ტრფიალი**

## ანა გრიზი (გრიგალაშვილი)

# ლექსები

*ეს ახალგაზრდა ქართველი ქალი რუსულენოვანი პოეტი გახლავთ. ანას უკვე გამოქვეყნებული აქვს სამი პოეტური კრებული „Выдох“, „Solo“ და „Осьминог“. მისი ლექსები დროდადრო იბეჭდება ქართულ (რუსულად) და რუსულ პერიოდიკაში (ჟურნალი „ალტერნატივა“, გაზეთი „Свободная Грузия“, ჟურნალი „Литературная Грузия“). გთავაზობთ პოეტი ქალის ხუთ ლექსს, რომლებიც ქართულად ანას მეგობარმა გადმოაქნა.*



### სინანული

ვაშენებდით, ვაწებებდით,
მიზნის გზათა შეჯერება
იყო მონაგარი.
ახლა ვნანობთ ნაწყენები,
რომ რაღაცის შეწებება
ვეღარ მოვასწარით...
რომ მეძალება მე სახეზე
წითელი ფერი,
როგორც კი ვამჩნევ: დაგდებიათ
პიჯაკზე მტვერი...

### ვაშა!

ჭიქაში მოჩანს ნალექი ყავის
ვკვნესით ვაისა.
ცხოვრება ზოგჯერ მძნელია ავის,
თქვენ კი რას იზამთ?

აქ საფრთხე წამთა ავიშვიშების
დილიდან გაჩნდა.
არა მგონია ვინმე გვიშველის.
შესძახეთ, ვაშა!

საეჭვოა რომ გზააბნეულებს
აწ გაგვიმართლოს.
ვინც ზედმეტია, გავაეულებთ –
აბა, მივმართოთ...

### პუშკინურად

მე თქვენ მიყვარხართ...
ამ ტრფიალში ვიქეც მონადა
განა ხანგრძლივია, თუმც ვაი,
რომ ღრმათა გრძნობათა,
არ იოცნებოთ: მივეცემი უკეთუ
ვნებას –
თქვენს საამებლად ვიქმ რაიმე
უკეთურებას.

როდი მჩვევია მორცხვობა,
ვარ სულით ძლიერი,
მაგრამ მაცბუნებს ისე მთელი
თქვენი იერი,

### სიზმარი

ჩემი ფანჯრიდან შენს სახეს ვხედავ,
სიზმრად დალანდულს იქით
სარკმელში
ეს ერთი ღამე მეწვია მე და
დღე მოისროლა მიუსავლელში.
ვხედავ და მიკვირს, როგორ და
რადა,
ცხადში ხომ არც კი ვართ
მეზობლები.
ამასობაში ზმანება გაქრა...
დაბრუნდი, კვლავაც გაგეზომები...

### ნახევარფანტაზია

ღია რჩება კაფე-ბარის კარი.
იქვე ზანტად იზლაზნება
ტროტუარი.
უნდა დაგიძახოთ ვოლდემარი,
აგაცალოთ ეგ ახალი პორტსიგარი.

სურნელებას შემოგვაფრქვევთ
მრავალს,
ნახევრად რბილ სტილში,
ვით საღამოს ჯაზი.
ეგებ კიდეც შეგიყვარდეთ, თანაც
თქვენც მოგეცეთ ასეთივე შანსი.

მოიმედე ჩამომდგარი ღამის
ჩემთა ბაგეთ თქვენი მზერით
ჩაეკროზით.
არცთუ ისე უსიამოდ მათთვის.
თქვენ კი, თქვენ კი სასიამოდ
დაითრობით.

**ინფორმაცია**

## გურჯაანის ბრუცელოზს ებრძვიან

**ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში, გურჯაანის რაიონის სოფლებში, ჩუმლაყში, ჯიმითში, არაშენდაში, ჭანდარსა და ქოდალოში ადამიანების ბრუცელოზით დაავადების 5 შემთხვევა ოფიციალურად დაფიქსირდა. არაოფიციალური მონაცემებით, დაავადებულთა რიცხვი გაცილებით მეტია. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან იტყობინებიან**

ინტერპრესნიუსი

ХО-ЭОВ-ЭБО

## განცხადება

სს „ელმავალმშენებლის“ აქციონერებს გაცნობებთ, რომ „ელმავალმშენებლის“ აქციათა 87 პროცენტის მფლობელი კომპანია „DEMA COMPUTERS LIMITED“-ის დირექტორის ოლეგ გიორგის ძე ზირიანოვის გადაწყვეტილებას, რომელმაც საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 54.1 პრიმი პუნქტის და სს „ელმავალმშენებლის“ წესდების 18.5. პუნქტის შესაბამისად განიხილა საკითხი ნ.ა. სერგეევას სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან გაწვევის შესახებ, მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება – გაწვეულ იქნას ნ.ა. სერგეევა სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან 2009 წლის 4 ივნისიდან.

სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭო

# განცხადებები აუქციონების ჩატარების შესახებ

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 29 ივნისს დღის 12.00 საათზე ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში (მის. ქუთაისი, რუსთაველის 1) სს „სარკმელის“ ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით ღია აუქციონს.**

სს „სარკმელის“ ქონება მდებარეობს ქუთაისში, მშენებლის ქ.№ 10-ში. სარეალიზაციოდ გამოტანილი სს „სარკმელის“ უძრავ-მოძრავი ქონება.

| № | ქონების დასახელება | ქონების ზომის ერთეული და რაოდენობა | ქონების საწყისი ფასი ლარებში (შეფასებული აუდიტის, ექსპერტის მიერ) | ქონების მოკლე აღწერა |
|---|---|---|---|---|
| შენობა-ნაგებობები | | | | |
| 1 | საწარმოო კორპუსი №1 | [illegible] | 30000 | ერთსართულიანი შენობა, რ/ბ კარკასი |
| 2 | საწარმოო კორპუსი №2 | [illegible] | 65000 | ერთსართულიანი შენობა, რ/ბ კარკასი |
| 3 | საწარმოო კორპუსი №3 | [illegible] | 60000 | [illegible] |
| 4 | საწარმოო კორპუსი №4 | [illegible] | 2000 | [illegible] |
| 5 | საწარმოო კორპუსი №5 | [illegible] | 5000 | [illegible] |
| სულ | | | 162000 | |
| მანქანა-დანადგარები | | | | |
| | [illegible] | 1 | 35000 | [illegible] |
| | [illegible] | 1 | 20000 | [illegible] |
| | [illegible] | 1 | 15000 | [illegible] |
| სულ | | | 70000 | |
| | | | 232000 | |

სს „სარკმელის“ სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 232000 (ორასოცდათორმეტი ათასი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე:

ქუთაისი, რუსთაველის გამზ. 1, **ტელ. (822) 262252**

**ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 30 ივნისს დღის 12.00 საათზე ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში (მის. ქუთაისი, რუსთაველის 1) სს „ქუთტრანსი 3“-ს ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით ღია აუქციონს.**

სს „ქუთტრანსი 3“-ს ქონება მდებარეობს ქუთაისში, ლომოურის ქ.№ 9-ში. სარეალიზაციოდ გამოტანილი სს „ქუთტრანსი 3“-ს უძრავ-მოძრავი ქონება.

| № | ქონების დასახელება | ქონების ზომის ერთეული და რაოდენობა | ქონების საწყისი ფასი ლარებში (შეფასებული აუდიტის, ექსპერტის მიერ) | ქონების მოკლე აღწერა |
|---|---|---|---|---|
| შენობა-ნაგებობები | | | | |
| 1 | ადმინისტრაციული შენობა | 485 კვ.მ | 121000 | ორსართულიანი, აგურის კედლები, სახურავი ა/ც ფურცლით, კონსტრუქციულად მდგარი, შიგა მოპირკეთება დაზიანებულია |
| 2 | მანქანების სამრეცხაო | 310 კვ.მ | 7800 | ბეტონის სადგომი და წყლის აუზი |
| 3 | საწყობი | 389 კვ.მ | 9900 | კარკასული ერთსართულიანი შენობა, ცვეთა 55% |
| 4 | შემკეთებელი ფარდული | 332 კვ.მ | 8300 | ერთსართულიანი შენობა, ცვეთა 50% |
| | პროფილაქტორიუმი | 1350 კვ.მ | 33000 | ერთსართულიანი შენობა, ცვეთა 50% |
| 5 | შესადუღებელი საამქრო | 425 კვ.მ | 12700 | ერთსართულიანი შენობა, ცვეთა 50% |
| | | | 192700 | |

სს „ქუთტრანსი 3“-ს სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 192700 (ასოთხმოცდათორმეტიათას შვიდასი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე, ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას.

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში.

ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას.

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე:

ქუთაისი, რუსთაველის გამზ. 1, **ტელ. (822) 262252**

ფეხბურთი

# მოვიგებთ ოდესმე?



ჰექტორ რაულ კუპერის თავკაცობით საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მეათე მატჩი გამართა: ერთი მოგება, ოთხი ფრე და ხუთი წაგება – ასეთია არგენტინელი მწვრთნელის ორწლიანი მოღვაწეობის შედეგი. გეკითხებით, ამისთვის მოვიწვიეთ სახელგანთქმული სამხრეთამერიკელი სპეციალისტი, რომელსაც მილიონებს ვუხდით? იქნებ, ეს სავალალო სტატისტიკა მისი კი არა, თვით „ჯვაროსანთა“



ბრალია, რომელთა ოსტატობა, ბრძოლისუნარიანობა და, რაც მთავარია, პატრიოტული გრძნობა, რბილად რომ ვთქვათ, ორივე ფეხით კოჭლობს. მერედა, როდემდე უნდა ვითმინოთ თანამემამულეთა ასეთი არხეინი დამოკიდებულება საქმისადმი? – იკითხავთ, ალბათ. სხვამ თავისი გულისთქმა პირადად მოგახსენოთ, მე კი მიმაჩნია, რომ ვიდრე ქვეყანას ვარდოსნები მართავენ, ფეხბურთის ფედერაციას კი მათი სატელიტები ახალკაცი უმცროსის თამადობით, იმედგაცრუება და რეგრესი გაგრძელდება. ღმერთმა ქნას, ვცდებოდე.

**ალბანეთი – საქართველო 1:1**

**გოლები:** დვალიშვილი (მე-2 წთ), ანგოლი (58-ე წთ.

რამდენიმე დღის წინათ მოლდოველებთან სამარცხვინოდ დასრულებული საშინაო სპარინგის შემდეგ ჩვენებურთა ძირითად შემადგენლობაში საფუძვლიანი ცვლილებები განხორციელდა, მაგრამ ხომ გაგიგონიათ: შესაკრებთა ადგილების შეცვლით ჯამი არ იცვლება.

სხვათა შორის, ერთ-ერთი დებიუტანტი, რიგის „სკონტოს“ ქართველი ლეგიონერი ლადო დვალიშვილი პარტნიორთაგან გამორჩეულად ირჯებოდა, მაგრამ მარტო ერთმა მერცხალმა გაზაფხული ვერ მოიყვანა.

პირიქით – მეტოქე რომ ჩვენსავით წყალწაღებული არ იყოს, ქულაც კი სანატრელი გაგვიხდებოდა.

12 აგვისტოს ლა-ვალეტაში მორიგი ამხანაგური მატჩია დანიშნული მალტელებთან, ხოლო 5 სექტემბერს თბილისში „მუნდიალ-2010“-ის პროგრამით იტალია გვეწვევა.

**ახალგაზრდული ნაკრებები:** ალბანეთი – საქართველო 1:0.

**ოთხშაბათის რაუნდის სრული შედეგები**
**მუნდიალი – 2010**
**ევროპა**

**I ჯგუფი.** შვედეთი – მალტა 4:0.

დანია – 16, უნგრეთი – 13, პორტუგალია, შვედეთი – 9-9, ალბანეთი – 6, მალტა – 1 ქულა.

**IV ჯგუფი.** ფინეთი – რუსეთი 0:3.

გერმანია – 16, რუსეთი – 15, ფინეთი – 10, უელსი – 9, აზერბაიჯანი, ლიხტენშტეინი – 1-1 ქულა.

**VI ჯგუფი.** ინგლისი – ანდორა 6:0, უკრაინა – ყაზახეთი 2:1.

ინგლისი – 21, ხორვატეთი, უკრაინა – 11-11, ბელარუსი – 9, ყაზახეთი – 3, ანდორა – 0 ქულა.

**VII ჯგუფი.** ფარერები – სერბეთი 0:2.

სერბეთი – 18, საფრანგეთი – 10, ლიტვა – 9, ავსტრია, რუმინეთი – 7-7, ფარერები – 1 ქულა.

**IX ჯგუფი.** ჰოლანდია – ნორვეგია 2:0, მაკედონია – ისლანდია 2:0.

ჰოლანდია – 21, შოტლანდია, მაკედონია – 7-7, ისლანდია – 4, ნორვეგია – 3 ქულა.

**სამხრეთ ამერიკა**

**XIV ტური.** ბრაზილია – პარაგვაი 2:1, ეკვადორი – არგენტინა 2:0, ვენესუელა – ურუგვაი 2:2, ჩილე – ბოლივია 4:0, კოლუმბია – პერუ 1:0.

ბრაზილია – 27, ჩილე – 26, პარაგვაი – 24, არგენტინა – 22, ეკვადორი – 20, ურუგვაი – 18, ეკვადორი, კოლუმბია – 17-17, ბოლივია – 12, პერუ – 7 ქულა.

**აზია**

**I ჯგუფი.** ავსტრალია – ბაჰრეინი 2:0, იაპონია – ყატარი 1:1.

ავსტრალია – 17, იაპონია – 15, ბაჰრეინი – 7, ყატარი – 6, უზბეკეთი – 4 ქულა.

**II ჯგუფი.** ირანი – ემირატები 1:0, სამხრეთ კორეა – საუდის არაბეთი 0:0.

სამხრეთ კორეა – 15, ჩრდილოეთ კორეა, საუდის არაბეთი – 11-11, ირანი – 10, ემირატები – 1 ქულა.

**გიორგი შოთაძე**

მემორიალი

# დიდი მწერლის სახელობისა



**ნოდარ დუმბაძის პირმშოს – ბავშვთა ქალაქ „მზიურს“ ამ დღეებში თბილისის მერიის ინიციატივით კეთილმოწყობილი უნივერსალური სპორტული მინი-მოედანი შეემატა, სადაც მომავალი თაობა მინი-ფეხბურთში, კალათბურთსა და ფრენბურთში შეეჯიბრება ერთმანეთს.**

57-ე საჯარო სკოლის დირექტორი სოსო ხუციშვილი, ამავე სასწავლებლის ესთეტიკისა და სპორტის ხელმძღვანელი ვახტანგ ბაქანიძე, დიდი მწერლის მშობლიური კორპუსის სამეზობლო სახელგანთქმული 35-ე საფეხბურთო სკოლის ყოფილი დირექტორის ანდრო თურქიას თავკაცობით – აი, ის პიროვნებები, ვისი თანადგომითა და ძალისხმევითაც ახალ სარბიელზე ვაკელი, ვერელი და საბურთალოელი მოზარდები შეიკრიბნენ და საყვარელი პროზაიკოსის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მოაწყვეს.

53-ე, 54-ე, 55-ე, 56-ე, 57-ე, 165-ე საჯარო სკოლების, XXI საუკუნისა და სენტ-ეკზიუპერის სახელობის კოლეჯის მოსწავლეთა მონაწილეობით გამართული საინტერესო ბრძოლის გამარჯვებული 57-ე საჯარო სკოლის გუნდი გახდა, რომელმაც დრამატულ ფინალურ შეხვედრაში ახლადშექმნილი „მზიურის“ ნაკრები დაამარცხა – 8:7. შეგახსენებთ, რომ მემორიალის ლაურეატი გუნდი „ნორჩი დინამოელის“ საფეხბურთო სკოლის წარმომადგენელია ვაკეში. სხვათა შორის, მისივე წევრი სანდრო კეჟერაშვილი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს.

აღსანიშნავია, რომ თანატოლთა მხარდამხარ გატაცებით აგორებდა ბურთს ერთადერთი გოგონა – 55-ე საჯარო სკოლის გუნდის თავი, თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული კაპიტნის შოთა იამანიძის შვილიშვილი, მეხუთეკლასელი ნინო იამანიძე.

აქვე გაგაცნობთ ვაკის მოზარდთა ნაკრების შემადგენლობას, რომელიც ნოდარ დუმბაძის მემორიალის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა: ლუკა ასათიანი, თორნიკე ლაღიძე, ნიკოლოზ ადეიშვილი, ავთანდილ ბექაური, ნიკოლოზ კევლიშვილი, ოთარ კოკოჩაშვილი, ლუკა შონია, ავთანდილ დევდარიანი, ალექსანდრე კეჟერაშვილი.



**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

მწვრთნელი

# სკოლარიმ უზბეკეთი არჩია

**ამას წინათ ვწერდით, რომ „ჩელსის“, ბრაზილიისა და არგენტინის ნაკრებების ყოფილ მთავარ მწვრთნელ ლუიშ ფელიპე სკოლარის ევროპის ბევრი სხვა გუნდთან ერთად უზბეკეთის „ბუნედკორში“ მუშაობაც შესთავაზეს.**

და აი, სკოლარიმ, როგორც ჩანს, ყველას უზბეკეთში მუშაობა ამჯობინა და 18-თვიანი კონტრაქტი გააფორმა „ბუნდეკორთან“.

სკოლარის განცხადებით, ის კმაყოფილი დარჩა სპორტზე უზბეკეთის პრეზიდენტის ისლამ კარიმოვისა და იქაური მთავრობის ზრუნვით, მალე დამთავრდება ახალი სტადიონის მშენებლობა ტაშკენტში.



სახელოვანი მწვრთნელი იქნება ფეხბურთის ბავშვთა აკადემიის კოორდინატორიც. მასთან ერთად იმუშავებენ მეორე მწვრთნელი ფლავიუ დე კუნია ტეიშერა, ფიზიკური აღზრდის მწვრთნელი – დერლან ჟოზე შნეიდერი, მწვრთნელი მეკარეთა მომზადებაში ანტონიუს კარლოს არაჩიდელი და სხვები.

სკოლარის ამოცანა იქნება 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის უზბეკეთის ნაკრების მოზადება.

ინტერნეტიდან

## „სპორტული ოსკარი“ – ბოლტს



**პეკინის ოლიმპიადის მთავარი გმირი, 2008 წლის საუკეთესო სპორტსმენი უსეინ ბოლტი გახდა სპორტში ყველაზე პრესტიჟული პრემიის Laureus, „სპორტულ ოსკარსაც“ რომ ეძახიან, ლაურეატი.**

მან ამ საპატიო წოდებისთვის ბრძოლაში გადაუსწრო ჩოგბურთელ რაფაელ ნადალს, მოცურავე მაიკლ ფელპსს, „ფორმულა-1“-ის პილოტს ლუის ჰემილტონს, მოტომრბოლ ვალენტინო როსისა და ფეხბურთელ კრიშტიანუ რონალდუს.

„ეს ჩემთვის დიდი ღირსებაა, ისეთი დიდებული სპორტსმენების, როგორნიც არიან როჟე ფედერერი, მიხაელ შუმახერი, ლენს არმსტრონგი და ტაიგერ ვუდსი გვერდში რომ ჩავდექი“, – თქვა სახელოვანმა მძლეოსანმა.

ტორონტოში 22 წლის სპრინტერს საპატიო ჯილდო გადასცეს აკადემიის Laureus წევრებმა მაიკლ ჯონსონმა და ედვინ მოზესმა.

მძლეოსნობის ლეგენდის ჯონსონის თქმით, ოლიმპიადაზე 100 მეტრზე იამაიკელის სირბილი „სპრინტში უდიდესი გამოსვლა“ იყო, რაც როდესმე უნახავს.

## სამზადისი არადამაკმაყოფილებელია

**საპარლამენტო მოსმენაზე რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებმა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს წინასაოლიმპიადო სეზონში სპორტის ზამთრის სახეობების გუნდების სამზადისის შედეგები.**




„ოლიმპიადამდე ვანკუვერში დარჩა მხოლოდ რვა თვე: ეს თამაშები იქნება ყველაზე ძნელი ჩვენთვის ამ ბოლო წლებში, – განაცხადა სათათბიროს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ანტონ სიხარულიძემ, – რუსეთელი სპორტსენების მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ანტისადოპინგო კონტროლს ზამთრის თამაშებზე იმ სპორტსმენების მოხვედრის აღკვეთის მიზნით, ვინც აკრძალულ საშუალებებს ხმარობენ. საჭიროა, პრინციპულად შეიცვალოს დოპინგისადმი დამოკიდებულება და ნუ გავხდით იმ სპორტსმენებს, დარღვევებზე რომ გამოიჭერენ, თავიანთი უფლებების დამცველებად და გმირებად“.

საგნობრივი განხილვის დროს, მასში კი მონაწილეოდნენ რუსეთის ფედერაციის საბჭოს, სპორტის, ახალგაზრდული პოლიტიკისა და ტურიზმის სამინისტროს, ოლიმპიური და პარაოლიმპიური კომიტეტების წარმომადგენლები, განსაკუთრებით აღინიშნა, რომ კანადაში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა არის მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანა, რაც მიმართულია საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის პოზიციის განტკიცებისკენ.

## ლივერპულში ყველაზე სექსუალური

**ინგლისის „ლივერპულის“ კაპიტნის სტივენ ჯერარდის ყოფილი შეყვარებული, ახლა კი მოკრივე რობი ტაკლის ცოლი – მოდელი, მომღერალი და მსახიობი ჯენიფერ ელისონი დარწმუნებულია, რომ წარმოშობით ლივერპულელი (როგორც თვითონძ ქალიშვილები ყველაზე სექსუალურები არიან.**

ისინი თავიანთ თავს დიდ ყურადღებას აქცევენ და მოვლილებადაც გამოიყურებიან. „დიახ, მე ვფიქრობ, რომ ისინი ნამდვილად სექსუალურები არიან, – უთხრა მან გაზეთს The Sun, – ლივერპულში. სადმე გამოსაჩენად ცუდად არ უნდა გამოიყურებოდე... რაც უფრო ჩრდილოეთიდან არიან, იმდენად მგზნებარე ქალიშვილები არიან და სექსუალურადაც გამოიყურებიან, იმიტომ, რომ ასეა საჭირო“, – დაამატა ჯერარდის ყოფილმა სატრფომ.



სულთათანა

# დიმიტრი ლევანის ძე ქართველიშვილი

საქართველოს საინჟინრო-ტექნიკურმა საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა საქართველოს მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე, ტექნიკური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, ცნობილი ინჟინერ-მექანიკოსი, საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, დიდებული პიროვნება დიმიტრი ქართველიშვილი – მაღალპროფესიული სპეციალისტი, სამეურნეო საქმიანობის კარგი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. იგი ეკუთვნოდა XX საუკუნის იმ შესანიშნავ პლეადას, რომელმაც დიდი ამაგი დასდო საქართველოში ეკონომიკისა და, კერძოდ, საავტომობილო მრეწველობის სრულყოფისა და განვითარების საქმეს.



დიმიტრი ქართველიშვილი დაიბადა 1927 წელს ქ.თბილისში. საშუალო და უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა თბილისშივე. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ქუთაისის ავტოქარხანაში არაერთ წამყვან საინჟინრო თანამდებობაზე (ქარხნის ექსპერიმენტული საამქროს უფროს ინჟინერ-გამომცდელად; მთავარი კონსტრუქტორის მოადგილედ; ქარხნის მთავარ კონსტრუქტორად და მთავარ ინჟინრადძ. ამ პერიოდში მისი უშუალო ხელმძღვანელობით დამუშავებული და წარმოებაში დანერგილი იქნა მრავალი ახალი ტიპის ორიგინალური სამანქანო ნაწილი და საავტომობილო მექანიზმი. ამ სამუშაოებს ყოველთვის მაღალი შეფასება ეძლეოდა სამეცნიერო და საინჟინრო წრეებში.

1965 წლიდან ქართველიშვილი მოღვაწეობდა სახალხო მეურნეობის მეტად საპასუხისმგებლო უბნებზე.

იგი იყო ქუთაისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე; საქართველოს მინისტრთა საბჭოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსი; საქართველოს საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე; საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; ამავე დროს საქართველოს საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე; საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

დიმიტრი ქართველიშვილის მოღვაწეობის ფართო სპექტრი ნათელყოფს, თუ რა დიდი ნიჭიერების, პროფესიონალიზმისა და განათლების პიროვნება გახლდათ იგი.

საქმის ერთგულებამ და ადამიანურმა თვისებებმა მას დამსახურებული ავტორიტეტი და სიყვარული მოუპოვა კოლეგებსა და მეგობრებს შორის, ქვეყნის ხელმძღვანელობას შორის.

მისი მოღვაწეობა სახელმწიფომ შესაბამისად – ღირსეულად შეაფასა. იგი დაჯილდოებული იყო ორდენებით და მედლებით.

დიმიტრი ქართველიშვილის – პატიოსანი, განათლებული და ერთგული მეგობრის, ჩინებული ადამიანის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და ახლობლების ხსოვნაში.

მეგობართა ჯგუფი

## განცხადება

## საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი აცხადებს კონკურსს ფართის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით

1. კონკურსის აუცილებელი პირობები:

ა) იჯარით გასაცემი ფართი წარმოადგენს:

- საქართველოს ეროვნული არქივის შენობის (მდებარე: ვაჟა ფშაველას გამზ., №1) 4-სართულიანი ნაწილის სახურავი (ვაჟა ფშაველას გამზირის მხრიდან) – არაუმეტეს 40 გრძივი მეტრისა;

ბ) იჯარის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.

გ) გრძელვადიანი (1 წელზე მეტი ვადით) ხელშეკრულების გაფორმებისას კონკურსში მონაწილე პირმა უნდა გაითვალისწინოს არსებული ინფლაცია და საბაზრო ფასების ცვლილებები.

დ) განსათავსებელი რეკლამის კონსტრუქციის ფორმა, ზომები და ვიზუალურ-შინაარსობრივი მხარე წინასწარ უნდა შეთანხმდეს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოსთან – საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან.

ე) იჯარის პერიოდში გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება უნდა გადაიხადოს მეიჯარემ არსებული წესების დაცვით.

ვ) კონკურსის მონაწილემ წინადადებები წარმოადგინოს საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით.

ზ) კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, იჯარის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს იმ ფორმით, რომელიც კომისიის მიერ შეთანხმებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან. აღნიშნული იჯარის ხელშეკრულება პრეტენდენტს გასაცნობად გადაეცემა წინასწარ, განაცხადის შემოტანამდე, განაცხადის დადგენილ ფორმასთან ერთად.

**2. კონკურსანტებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ საკონკურსო კომისიაში დახურული (ბეჭდიანი) კონვერტით. განაცხადშივე უნდა მიუთითონ: იჯარის ვადა; იჯარის ღირებულება თვეში (დღგ-ს ჩათვლით), ლარებში; ასათვისებელი ფართის მოცულობა; თანხმობა კონკურსის აუცილებელ პირობებზე.**

**3. კონკურსანტების განაცხადი უნდა წარმოდგინონ 2009 წლის 19 ივნისის 17 საათამდე.**

**მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი, №1.**

**საკონტაქტო ტელეფონი: 37-28-02; 895-907020.**

საკონტაქტო პირი: გოგიტა ჭეჟია.

ყურადღება!

## ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზის“ (სოციალურ-პოლიტიკურ კვლევათა ცენტრი, შვედეთი) მკითხველებს




ჟურნალ „ცენტრალნაია აზია ი კავკაზის“ (სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან პროფესორები გიული ალასანია და ვლადიმერ პაპავა) წარმომადგენელი საქართველოში ჟურნალის ყველა მკითხველს სთხოვს (ვინც აქამდეც უფასოდ იღებდა აღნიშნულ ჟურნალსძ, 2009 წლის მეორე ნომრის მისაღებად მოაკითხოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას.

ჟურნალში სათანამშრომლოდ საჰონორარო ანაზღაურებით ვიწვევთ კვალიფიციურ ავტორებს.

ახალი წლიდან ჟურნალი ხელმოწერითაც ვრცელდება.

ჩვენი მისამართია: მ. კოსტავას ქ. 12.

ტელ: 899 53 76 16, 98 65 87

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.
კოსტავას 12

ინფორმაცია

## ნაპოვნია მამაკაცის გვამი

ერწოს ქუჩაზე შვიდსართულიანი სახლის ერთ-ერთ ბინაში მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს.

იქ მცხოვრებმა მოსახლეობამ საპატრულო პოლიციას გამოუძახა, რომელმაც შეძლო გვამის იდენტიფიცირება და ვინაობის დადგენა. პოლიციის ინფორმაციით, გარდაცვლილი თეიმურაზ ჟღენტია.

გვამს წინასწარი დათვალიერებით ძალადობის ნიშნები არ აღენიშნება. გვიან ღამით, პოლიციამ გარდაცვლილი თბილისის პირველ პროზექტურაში გადაასვენა, სადაც მას ექსპერტიზა ჩაუტარდება და დადგინდება გარდაცვალების ზუსტი მიზეზები.

როგორც თეიმურაზ ჟღენტის მეზობლებმა განაცხადეს, გარდაცვლილი რამდენიმე თვეა რაც არავის უნახავს. ის მარტო ცხოვრობდა და მას ოჯახი არ ჰყავდა.

ჯი-ეიჩ-ენი

თითქმის ნატურიდან

## ვანოც მაგარია!

**შაქრიამ მეზობლის ეზოში მალულად შეიჭვრიტა, უნდოდა მიხას სიმართლეში პირადად დარწმუნებულიყო, მაგრამ ვირს თვალი ვერსად მოკრა და ეჭვნარევი ღიმილით მალე უკანვე გამოიძურწა.**

– რა გინდა, რასა მზვერავ შაქრი? – დაადევნა კითხვა აივანზე გადმომდგარმა მიხამ პირკატანაცემ მეზობელს.

– გზვერავ კი არა და, უზრალოდ ბანჯოსთან გამოლაპარაკება მინდოდა, – იმართლა თავი შაქრიამ.

– ჯერ რო არ ამდგარა? გაიღვიძებს თუ არა, ვეტყვი სასწრაფოდ გნახოს.

– არ მინდა, არ შააწუხო, შენ რო თქვი გადადგაო...

– თორე ტყუილი ვთქვი, ჩემმა მზემა, გადადგა დ მიდი აბა გადაათქმევინე, ვირია, პოლიტიკოსი ხო არა, აქეთ-იქით პარტიებში იბლოტიალოს?

– რანაირად გადადგა, – შეიცხადა შაქრიამ, – როცა წუხელ ტელევიზორში ისევა ვნახე?

– ტყუილია, ბანჯო არ იქნებოდა, – გადაჭრით იუარა მიხამ.

– ვაა, მაზრმავებ, ჯო, ბანჯოს ყურებს მოხარშულს ვიცნობ.

– არა-მეთქი, გეუბნები, – გაჯიუტდა მეზობელი, – ეგა, ჩემო ძმაო, ბანჯო კი არა, მისი ორეული იქნებოდა.

– ორეული? – შეფიქრიანდა შაქრია, – რომელი ბელადი ეგა მყავ, ორეული უყოლიონ?

– ეჰ, ჩემო შაქრი, ხო გაგიგია, უქალლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო.

– მაგით რა გინდა მითხრა, მთავრობას საკუთარი ჭკუა არ აქ და ვირებს იშველიებს?

– ეგრეა, მთავრობას ჭკუის გარდა ავტორიტეტიც არ უვარგა.



– არ გადამრიო, ჯო, შენა ფიქრობ, ვირს უფრო მეტი ავტორიტეტი აქ?

– აბა რა, ვირი მთავრობაზე გაცილებით ჭკვიანი და გამრჯეა, თანაც დიდი დემოკრატი.

– ეგ ჰო, გავიგე, მაგრამ როცა ნაღდი ბანჯო (იგივე სანდროძ იქა ჰყავდათ, მისი ორეულის გამოგონება რაში დასჭირდათ?

– ეგა, ჩემო ძმაო, ვანოს უნდა ჰკითხო, ეგ არი ასეთი საქმეების ავან-ჩავანი.

– რომელ ვანოსა, ჯო, მინისტრი რო არი?

– მინისტრიც ეგ არი და პრეზიდენტიც, შენ რა, აქამდე არ იცოდი?

– ეგ ვილამ გითხრა?

– ვინ მეტყოდა, ბანჯომ ჩამომიტანა ამბავი, ეგ ხო კაი ხნის მანძილზე მაგათი რუპორი იყო.

– ჰოდა ეგ ვერ გავიგე, მაგათი კაცი თუ იყო, რატოღა შემოსწყრნენ?

– უღალატა და იმიტო, რო ეგონათ თავიანთ მხარეს ჰყავდათ დაბმული, ბანჯომ დრო იხელთა, პალო მოგლიჯა და ოპოზიციისკენ გადაქვრა.

– და ეს ყველაფერი ვანომ გახსნა?

– გახსნა რომელია, კაი მეძებარივით არი, კურდღელს იქ წამოაგდებს, სადაც არ ელოდები. ღალატი რო იყნოსა, ნამუსიანი ბანჯო სასწრაფოდ უნამუსო ორეულით შეცვალა.

– რა გინდა, მაგარი ყოფილა ეგ შენი ვანო.

–მაგარი და ისეთი? ეგ ბრიყვი მინისტები რო ღრიალებენ – მიშა მაგარიაო, ნატური ბლეფია. სინამდვილეში მიშა კი არა, ვანოა მაგარი.

– ახლა არ მითხრა, რუსეთთან ომიც ვანომ მოიგოო.

– აბა ვინ მოიგო, მიშამ? ეგ რის მომგებიც არის, გორში გამოჩნდა (ტელევიზორით ხო ნახე!ძ. რუსეთი პროვოკაციაზე მიშამ კი არა, ვანომ წამოაგო.

– მერე, მაგით რა მოიგო?

– მალე გამოჩნდება. როგორც ბანჯომ მითხრა, ვანო ახლა თურმე იმაზე ჩალიჩობს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნები, ნატოს ცალ-ცალკე წევრებად მიაღებინოს.

– ჩვენა?

– ჩვენ კიდე დამატებით ცალკე წევრად მიგვიღებენ. ხო ხვდები რა ხდება, ადრე თუ მარტო საქართველო შედიოდა ნატოში, ახლა მასში საქართველოდან ერთბაშად სამნი შევგრიალდებით!

– გამოდის, რო ვანომ ამხელა რუსეთი გააბრიყვა?

– აბა რა, რუსეთს თუ ჭკუა ჰქონდა, აფხაზეთი და ოსეთი დამოუკიდებელ ქვეყნებად არ უნდა ელიარებინა.

– ყოჩაღ, ვანო! – აღფრთოვანება ვერ დამალა შაქრიამ, – ნეტა ეს ყველაფერი ოპოზიციამ თუ იცის?

– არა მგონია, – ეჭვი გამოთქვა მიხამ, – ეგენი თუ ტყემალზე არა სხედან, ვანოს პეპელა სამინისტროში მოლაპარაკებას მიშასთან კი არა, თავად ვანოსთან გამართავდნენ.

– მერე, ასე თუ ხარ დარწმუნებული შენ სიმართლეში, ჩადი იმ ქალაქში და ოპოზიციას პირადად დაელაპარაკე, – ურჩია შაქრიამ.

– არ გამოვა, – თავი გააქნია მიხამ.

– რატო?

– ძაან ბევრნი არიან (თანაც სხვადასხვა აზრისანიძ, ყველას სად ჩამოვუვლი?!

**ოტია ჩართოლანი**

ჩვენებურები

# ლეო ბოკერიას უნიკალური ოპერაცია



**ის მოსკოვის ა. ბაკულევის სახელობის გულსისხლძარღვთა ქირურგიის იმ სამეცნიერო ცენტრში ჩატარდა, რომელსაც მსოფლიოში საუკეთესო კარდიოქირურგად აღიარებული ლეო ბოკერია უდგას სათავეში.**

მკერდზე მცირე, სულ 6-სანტიმეტრიანი განაკვეთის საშუალებით ცნობილმა ქირურგმა და ცენტრის დირექტორმა ლეო ბოკერიამ პაციენტს გულში ჩაუდგა ახალი სარქველი ისე, რომ არ ჩაურთავს ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატურა.

ასეთი ოპერაცია თურმე, შეიძლება, ჩაუტარდეს 60-90 წლის პაციენტებს, რომლებიც ალბათ ვერ გაუძლებენ ქირურგიულ ჩარევას ღია გულზე.

სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ასეთი მეთოდიკა გადაარჩენს ათი ათასობით ადამიანს, დღეს ძალზე რომ სჭირდებათ შველა.

თუმცა ექიმები იმასაც აღიარებენ, რომ ჯერჯერობით ოპერაცია ძალზე ძვირი ჯდება. ერთი სარქველი 30 ათასი ევრო ღირს, მაგრამ ქირურგები დარწმუნებული არიან, რომ მალე ასეთი ოპერაციის გაკეთება სერიული გახდება.

**უცხოური პრესის მიხედვით**

ინფორმაცია

# მოსკოვში მოუხელთებელი ტარიელ ონიანი დააკავეს

**მოსკოვის გარეუბან „გორკი-2“-ში განხორციელებული სპეცოპერაციის შედეგად, „კანონიერი ქურდი“, 51 წლის ტარიელ ონიანი დააკავეს. ამ ინფორმაციას რუსული სააგენტოები ავრცელებენ.**

მათივე ცნობით, ონიანს ერთ-ერთი ქართველი მეწარმის გატაცების ორგანიზება ედება ბრალად. ქართველი მეწარმის ვინაობა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ სახელდება.

რუსული სააგენტოების ინფორმაციით, ბიზნესმენი ტყვეობაში ორი დღის განმავლობაში იმყოფებოდა, სცემდნენ და გამოსასყიდს ითხოვდნენ. გამომძალველებმა 250 ათასი დოლარის მიღების შემდეგ ტყვე გაუშვეს, თუმცა მოთხოვნილი თანხა გაზარდეს და ბიზნესმენის ოჯახის წევრებსაც ემუქრებოდნენ, რის შემდეგაც ბიზნესმენი მილიციას დაუკავშირდა.

ამასთან, რუსული წყაროები წერენ, რომ ონიანთან ერთად დაკავებული არიან მისი დაცვის წევრები, რომლებიც სვანური დანაშაულებრივი ჯგუფის წარმომადგენლები არიან და მონაწილეობდნენ ბიზნესმენის გატაცებასა და ცემაში.

გატაცებულმა ბიზნესმენმა ისინი ამოიცნო. ონიანსა და დაცვის წევრებზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

**ინტერპრესნიუსი**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

ჯანმრთელობა

# მედიტაცია ტვინს ზრდის



**აღმოაჩინეს ყოველდღიური მედიტაციის კიდევ ერთი პლუსი – რეგულარული ვარჯიში ეხმარება თავის ტვინის იმ განყოფილებათა მოცულობის ზრდას, პასუხს რომ აგებენ ემოციებზე.**

მეცნიერებმა მოაწყეს გამოკვლევები, რაშიც 44 ადამიანი მონაწილეობდა. მათი ნახევარი მისდევდა მედიტაციას. პრაქტიკის საშუალო ხანგრძლივობა 24 წელს შეადგენდა. ექსპერიმენტის მონაწილეებს ჩაუტარდა თავის ტვინის სკანირება.

მეცნიერებმა შეაფასეს გამოსაცდელთა თავის ტვინის განსაზღვრული ნაწილების ზომები, აგრეთვე თავის ტვინში შექმნილი ქსოვილების რაოდენობა.

შედეგად გამოირკვა, რომ იმ ადამიანებს, მედიტაციას რომ მისდევენ, თავის ტვინის ჰიპოკამპის, ორბიტო-ფრონტალური ქერქის, ტალამუსისა და საფეთქლის ქვედა ხვეულების მოცულობა არსებითად აღემატება საშუალო მაჩვენებლებს, ყველა ეს განყოფილება მონაწილეობს ემოციების გამოვლენაში.

# კოკა-კოლა ასუსტებს კუნთებს



**მთელს მსოფლიოში პოპულარული კოკა-კოლას ძალზე ხშირი სმა, ექიმების მტკიცებით, იწვევს კუნთების მუშაობის რღვევას. იმ ადამიანებს, კოკა-კოლას ყოველდღე რამდენიმეჯერ რომ სვამენ, უვითარდებათ ჰიპოკალიმია – ორგანიზმიდან კალიუმის გაძლიერებული გამოყვანა, ეს კი ასუსტებს კუნთებს.** დაავადების სიმპტომები მერყეობს სისუსტიდან ღრმა დამბლამდე. მიაჩნიათ, რომ ჰიპოკალიმიას იწვევს სასმელის შემადგენლობაში შემავალი ნივთიერებანი– გლუკოზა, ფრუქტოზა და კოფეინი. დაავადებასთან ბრძოლა შეიძლება ამ სასმელზე უარის თქმით და ვენაში კალიუმის შეყვანით.

2007 წელს ამ უალკოჰოლო სასმელის გამოყენება მსოფლიოში ყოველწლიურად კაცზე 83 ლიტრს შეადგენდა. პროგნოზების მიხედვით კი 2012 წლისთვის ეს ციფრი 85 ლიტრამდე გაიზრდება.



# ლიმონი თავის ტკივილისთვის

**როცა თავი გტკივათ, ლიმონის ქერქი თეთრი მხრიდან მიიდეთ საფეთქელზე და გეჭიროთ იქამდე, სანამ კანი მის ქვეშ არ აგეწვებათ და აგიქავდებათ. ამის შემდეგ თავის ტკივილი გაგივლით.**

# მამაკაცებო, ფრთხილად!

**თუ ავსტრალიელ მეცნიერებს ეროვნული უნივერსიტეტიდან დავუჯერებთ, მამაკაცებს ამოწყვეტა ემუქრება!**

მათი გამოკვლევების მიხედვით. 300 მილიონი წლის წინათ „მამაკაცური“ Y ქრომოსომა შედგებოდა 1400 გენისგან, ახლა კი მხოლოდ – 45 გენილა დარჩენილა. თანაც, ყველა მაჩვენებლით, გენების გაქრობა გრძელდება.

„გვახარებს მხოლოდ ის, რომ მამაკაცთა გენების მარაგი კიდევ უახლოესი 5 მილიონი წლისთვისაა საკმარისი!“ – ხუმრობენ მეცნიერები.

# დღეგრძელობის წერტილები



**ყოველ დილით იაპონელები 1-2 წუთით მასაჟს იკეთებენ დღეგრძელობის წერტილებზე მათგან მთავარი, „სანლის“ რომ ეძახიან, არის მუხლის კვირისთავის ქვეშ, მარჯვნივ და მარცხნივ.** ფეხებმა კარგად რომ იმუშაოს, ამოძრავეთ ტერფები მარცხნივ და მარჯვნივ 10-15 ჯერ, როცა გაგახსენდებათ, რომ თქვენს ფეხებსაც დასვენება სჭირდება.

# სალათა მხედველობის გასაუმჯობესებლად



**აურიეთ ერთმანეთში გახეხილი სტაფილო, წვრილად დაჭრილი ჭარხლის ჩირი, ფორთოხალი, დაუმატეთ არაჟანი გემოვნების მიხედვით.** ასეთი სალათის ჭამა ყოველდღე შეიძლება. მაგრამ არ დაგავიწყდეთ მარტივი ვარჯიში თვალებისთვის: დახუჭეთ თვალები, თვალის კაკლები ატრიალეთ მარჯვნივ და მარცხნივ, წრეზე. ამას მოანდომეთ 5 წუთი, შედეგი კი ნამდვილად გაგახარებთ.

**უცხოური პრესის მიხედვით**

სტიქია

# ქარბორბალა მარტვილში

**მარტვილის რაიონის სოფელ ლედგებეს ქარბორბალამ გადაუარა. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, ამინდი საღამოსკენ უცბად გაუარესდა, რასაც ძლიერი წვიმა და ქარიშხალი მოჰყვა. უკვე ღამით, კი მოულოდნელად ქარბორბალამ დასახლებულ პუნქტებს გადაუარა.**

სტიქიამ საცხოვრებელ სახლებს სახურავები ახადა. დაზიანებულია ელექტროგადამცემი ხაზები და სოფლის სკოლა. წაქცეულია საუკუნოვანი ხეები.

კადრი



ანეკდოტები

**ქალი, რომელიც ქმრისგან წავიდა, დაქალს თავის განცდებს უზიარებს.**

**– როგორც კი სახლიდან გამოვედი, გასროლის ხმა მომესმა. შენი აზრით, ჩემმა ქმარყოფილმა თავი მოიკლა?**

**– არა მგონია, ალბათ შამპანურის ბოთლი გახსნა.**

* * *

**თუ დირექტორი თათბირს დაიწყებს სიტყვებით „გამარჯობათ, ჩემო ძვირფასებო“, ელოდეთ ხელფასის შემცირებას.**

* * *

**არაყი რუსული მატრიოშკასავითაა – ერთს გახსნი, მეორე გამოჩნდება, მერე კი – მესამე და...**



* * *

**ავტომობილი ეს არის გადაადგილების საშუალება, რომელიც ადამიანებს სამსახურში აგვიანებინებს.**

* * *

**– ქალბატონო, რა ლამაზი კაბა გაცვიათ!**

**– არც ტანი მაქვს ნაკლებად ლამაზი.**

**– მართლა? გაიხადეთ, ვნახოთ.**

* * *

**– ნუ იყიდით ამ კანფეტებს, ძველია, – ეუბნება გამყიდველი ტიპს.**

**– არა უშავს, მაინც ექიმთან მისატანად მინდა...**

* * *

**ნამდვილი ქალები ნამდვილ მამაკაცებზე არ თხოვდებიან, რადგან ნამდვილი ქალები პირველსავე წინადადებაზე არ თანხმდებიან, ნამდვილი მამაკაცები კი ორჯერ არავის სთხოვენ ხელს...**

SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი 98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.